ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲥᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 80 (20871) — ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1989 ᲬᲔᲚᲘ. — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ 1988 ᲬᲔᲚᲡ

1988 ᲬᲔᲚᲡ პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მითითებების შესაბამისად გრძელდებოდა ეკონომიკური რეფორმის განხორციელება, სპეზიალიზაციის გარდაქმნის პროცესის თანამიმდევრული გაღრმავება. მართვის უმიერტესად ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის, საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე გადაყვანის ზემოქმედებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხდება გარკვეული პოზიტიური ძვრები. მატების ტემპს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ახასიათებს შემდეგი (შესადარი ფასებით, პროცენტობით):

	1988 წელი 1987 წლის ფაქტობრივ დონესთან შედარებით		ცნობისათვის: მატების საშუალოწლიური ტემპი	
	გეგმით	ფაქტობრივი	1981-1985 წ. წ.	1986-1988 წ. წ.
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	3,8	4,5	5,0	1,1
მატერიალური წარმოების საწარმოთა წმინდა პროდუქცია		6,3	4,8	1,0
მრეწველობის პროდუქცია	5,1	2,7	5,4	3,3
სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება (ალკოჰოლიანი სასმელების გარდა)		5,1	3,2[1]	3,1
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	8,8	4,4	2,5	0,6
ძირითადი ფონდების ამოქმედება		—8,0	7,0	—5,5
კაპიტალური დაბანდებანი მათ შორის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი	13,4	0,5 5,0	6,4 6,5	2,0 3,4
ტვირთბრუნვის მოცულობა (საერთო სარგებლობის ტრანსპორტით ტვირთის გაგზავნა)	—1,8	—0,4	3,0	2,6
საერთო სარგებლობის ტრანსპორტის მგზავრთბრუნვა[1]	0,1	0,9	3,8	2,3
მოგება სახალხო მეურნეობაში	35,9	33,1	2,9	12,3
შრომის ნაყოფიერება:				
სახალხო მეურნეობაში		4,9	3,7	0,8
მრეწველობაში	4,2	4,3	3,5	3,3
სოფლის მეურნეობაში (საზოგადოებრივი წარმოება)	7,3	—0,9	2,3	1,8
მშენებლობაში	3,8	6,6	2,2	4,3
მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი	2,3	—1,0	1,9	0,4
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	4,6	3,8	4,9	3,9
მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი	2,2	4,9	2,9	3,5
კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობაში	6,5	5,8	5,6	0,4
მოსახლეობისათვის მისაცემლები და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან	7,9	8,0	4,2	6,3
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	3,1	3,2	3,8	4,8
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	15,5	9,5	3,7	5,8
მოსახლეობის ფასიანი მომსახურება	21,2	11,7	2,8	10,7

[1] 1982-1985 წლებში ალკოჰოლიანი სასმელების ჩათვლით.
[1] რკინიგზის ტრანსპორტით რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

წარმოებულმა **ეროვნულმა შემოსავალმა** შეადგინა 10,7 მილიარდი მანეთი (ფაქტობრივი ფასებით).

მატერიალური წარმოების **საწარმოთა წმინდა პროდუქციის** ზრდის ტემპი, რომელსაც ახასიათებს საწარმოთა კონკრეტული წვლილი ეროვნული შემოსავლის შექმნაში და თავისუფალია გარეშე ბაზრის კონიუნქტურის გამანაწილებელი ხასიათის ფაქტორების გავლენისაგან, მეტი იყო, ვიდრე ეროვნული შემოსავლის ზრდა. საწარმოთა წმინდა პროდუქციის მოცულობის გათვალისწინებით გაანგარიშებული შრომის ნაყოფიერება 1988 წელს 6,9 პროცენტით გაიზარდა.

მრეწველობის პროდუქცია წლის მანძილზე 12,3 მილიარდი მანეთისაა წარმოებული (346 მილიონი მანეთით მეტი ღირებულებისა, ვიდრე წინა წელს), სოფლის მეურნეობის პროდუქცია — 3,3 მილიარდი მანეთისა (3,9 პროცენტით მეტი, ვიდრე საშუალოდ წელიწადში მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე).

მეტია მიღებული მოგება, გაიზარდა **ბრუნვის გადასახადის** შემოსავალი ბიუჯეტში.

შეჩერებულია ფონდუკუგების შემცირება, შემცირდა ეროვნული შემოსავლის მასალატევადობა, ენერგოტევადობა და ლითონტევადობა, რომლის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით შუამავალ რიცხვის შემცირების პირობებში.

ხორციელდებოდა ეკონომიკის **სოციალური ხელახალი ორიენტაცია.** გაიზარდა მოხმარების ფონდის წილი ეროვნულ შემოსავალში, უზრუნველყოფილია მოხმარების საგნების წარმოების უპირატესი განვითარება მრეწველობაში. შესრულდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმა. არსებითად გაიზარდა მშრომელთა ფულადი შემოსავალი. დაჩქარდა საცალო საქონელბრუნვის ზრდა.

რესპუბლიკა დახმარებას უწევს მიწისძვრით დაზარალებული სომხეთის სს რესპუბლიკის რაიონებს.

ამავე დროს **ეკონომიკური რეფორმა ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა სრული ძალით, სახალხო მეურნეობამ კი ჯერჯერობით ვერ მიაღწია საჭირო დაჩქარებას.** მიღწეული არ არის 1988 წლისათვის დასახული გეგმები ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიხედვით. სამრეწველო საწარმოთა მნიშვნელოვანმა რიცხვმა ვერ შეასრულა პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებანი. არსებულმა ნაკლოვანებებმა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში, გადამუშავებაში, შენახვაში შესაძლებლობა არ მოგვცა გაგვეუმჯობესებინა მოსახლეობის სასურსათო მომარაგება. შრომის ანაზღაურების ზრდა უსწრებდა შრომის ნაყოფიერების გადიდებას. მოსახლეობის გაზრდილი ფულადი შემოსავალი სრულად არ იყო უზრუნველყოფილი საქონლითა და მომსახურებით; კვლავ არის ბევრი მათგანის დეფიციტი. არ აღმოფხვრილა დიდი ნაკლოვანებანი საინვესტიციო სფეროში. მრეწველობისა და მშენებლობის ყოველმა მეექვსე საწარმომ ვერ შეასრულა დაგროვების საგეგმო დავალება, ყოველმა მეოცემ — დაუშვა ზარალი. რესპუბლიკის ხარჯები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისი შემოსავალი; ფინანსური მდგომარეობა კვლავ რთულია.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მოსახლეობის დასაქმება. რესპუბლიკის შრომითი რესურსები წლის მანძილზე 3 ათასი კაცით გაიზარდა და ამჟამად შეადგენს მთელი მოსახლეობის 59 პროცენტს. მეურნეობრიობის ინტენსიურ მეთოდებსა და შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლასთან დაკავშირებით გაძლიერდა მუშახელის დარგთშორისი გადანაწილება. სახელმწიფო სექტორის საწარმოო დარგებში მომუშავეთა რიცხვი 25 ათასით შემცირდა. არასაწარმოო დარგების ორგანიზაციებში დასაქმებულთა რიცხვი 3 ათასით გაიზარდა.

მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რიცხვმა 2,205 ათასი შეადგინა, კოლმეურნეებისა — 279 ათასი. კოოპერატივებში და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით დაკავებულია 52 ათასი კაცი. აქედან მეოთხედზე მეტი მუშები და მოსამსახურეები არიან, რომლებიც სახელმწიფო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან გადავიდნენ ან შეთავსების პირობებით მუშაობენ.

1988 წლის 15 ნოემბრისათვის შეიქმნა მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახალი სწავლებისა და პროფორიენტაციის 8 ცენტრი და 24 ბიურო, რომლებიც შედიან შრომითი რესურსების მართვის საერთო-სახელმწიფო სისტემაში. გასული წლის სამი კვარტალის მანძილზე ამ ორგანოებს დახმარება სთხოვა 68 ათასზე მეტმა კაცმა, რომელთაგან 59 ათასზე შეტმა შეირჩა მუშაობის ადგილი.

მოსახლეობის შემოსავალი. 1988 წელს მოსახლეობის ფულადი შემოსავლის მატება მეტი იყო, ვიდრე მთლიანად ორ წინა წელიწადში. ნაწილობრივ ეს დაკავშირებულია შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებასთან — სახსრების გადახდასთან, რომლებიც წინათ აკუმულირებული და გამოყენებული იყო გაწაკვეთებისა და სარგოების გადიდებისათვის. შრომის ანაზღაურების გადიდება საკმარისად არ იყო დაკავშირებული წარმოების შედეგების ზრდასთან, მისი ეფექტიანობის გადიდებასთან. ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის თანაფარდობისადმი კონტროლი ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში, მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შესუსტებული იყო.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6 მილიონ მანეთზე მეტი გამოიყო ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა ხელფასის მომატებისათვის.

სახალხო მეურნეობაში მუშათა და მოსამსახურეთა საშუალოთვიური ხელფასი გაიზარდა 177,2-დან 185,8 მანეთამდე.

კოლმეურნეთა საშუალო-თვიური ხელფასი გაიზარდა 147 მანეთამდე 1987 წლის 139 მანეთის ნაცვლად.

მოსახლეობამ მიიღო 2,781 მილიონი მანეთი მისაცემლები და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან, რაც 207 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე წინა წელს. მოსახლეობისათვის ფულადი მისაცემლები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან პენსიების, დახმარებებისა და სტიპენდიების სახით გაიზარდა 80 მილიონი მანეთით (7 პროცენტით). გადიდდა კოლმეურნეობების წევრებისა და მათი ოჯახების პენსიების მინიმალური ოდენობა, რომლებსაც სულ ცოტა ათ წელიწადს უხდიან.

გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილი სახსრები. გადიდდა ავადმყოფთა კვების, მედიკამენტების, მოწყობილობისა და ინვენტარის შეძენის ხარჯთა ნორმები, შემოღებულია 3 წლამდე ასაკის ბავშვთათვის წამლების უფასო მიცემა. ხორციელდებოდა ობოლი ბავშვებისა და მშობლების მეურვეობის გარეშე დარჩენილი ბავშვების, აგრეთვე ომისა და შრომის ვეტერანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მოსახლეობისათვის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის, საბაღე სახლების შეძენისა და სხვა მიზნებისათვის სესხის მიცემა 109,6 მილიონი მანეთით გაიზარდა.

მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახებში, რომელთა ბიუჯეტებს სისტემატურად სწავლობს საქართველოს სსრ სტატისტიკური, საშუალო სულადობრივმა ერთობლივმა შემოსავალმა 133 მანეთი შეადგინა, კოლმეურნეთა ოჯახებში — 135 მანეთი თვეში. საშუალო-სულადობრივი შემოსავალი თვეში 75 მანეთამდე ჰქონდა ოჯახების წევრთა 20 პროცენტს 1985 წლის 24 პროცენტის ნაცვლად. 1,2-ჯერ გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომელთა შემოსავალი 200 მანეთს აღემატება, და მიაღწია 13 პროცენტს (1985 წელს იყო 11 პროცენტი).

მოსახლეობის ანაბრებმა სსრ კავშირის შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის დაწესებულებებში 1989 წლის დამდეგისათვის შეადგინა 6 მილიარდ 238 მილიონი მანეთი.

კვების პროდუქტებისა და არასასურსათო საქონლის წარმოება 1988 წელს გაიზარდა 291,1 მილიონი მანეთით, მათ შორის კვების პროდუქტებისა — 83,1 მილიონი მანეთით. მათი უმნიშვნელოვანესი სახეობების გამოშვებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	ფაქტობრივად 1988 წლის განმავლობაში	დაკვეთების შესრულების პროცენტი	1988 წელი 1987 წლისგან ფაქტობრივად
ხორცი (სამრეწველო გამომუშავება, ათასი ტონა)	98,2	93	99
ძეხვეული, ათასი ტონა	36,7	102	103
ერბო-კარაქი, ათასი ტონა	1,2	120	86
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით, ათასი ტონა	259	108	104
ცხიმიანი ყველი, ათასი ტონა	19,7	100,1	100,9
საკვები თევზის პროდუქცია, მათ შორის თევზის კონსერვები, ათასი ტონა	70,2	76	145
მარგარინის პროდუქცია, ათასი ტონა	40,4	90	100,2
მცენარეული ზეთი, ათასი ტონა	11,4	103	79
პური და პურფუნთუშეული, ათასი ტონა	810	101	96
საკონდიტრო ნაწარმი, ათასი ტონა	68,6	100,9	103
კონსერვები, მილიონი პირობითი ქილა	938	101	119
ნატურალური ჩაი (სორტული დაფასოებული), ათასი ტონა	114	106	104
მინერალური წყლები, მილიონი ნახევარლიტრი	325	87	96
უალკოჰოლო სასმელები, მილიონი დეკალიტრი	14,5	96	106

მთელი რიგი სასურსათო საქონლის წარმოების გარკვეული ზრდის მიუხედავად, კვლავ დაძაბული მდგომარეობაა მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგებაში, ვაჭრობაში კვლავ იგზავნება დიდძალი უხარისხო პროდუქცია.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ

ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲗᲮᲔ წელია თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მექანიკურ საამქროში მუშაობს ხარატი ზურაბ ფირცხალეიშვილი. ოქროსმარჯვენა ოსტატს საგრძნობი წვლილი შეაქვს საწარმოს კოლექტივის წარმატებებში.

ამ გამრჯე მუშაკების მთელი ცხოვრება სამაგალითოა. არის შრომის დიდების ორდენების სრული კავალერი. არჩეულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. კომუნისტი ხარატი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრია. მრავალი ახალგაზრდა აზიარა პროფესიის საიდუმლოებას — ბევრი მისი ნაშეგირდალი დღეს მუყაითად შრომობს ოსტატის მხარდამხარ.

მის მიერ განვლილი სახელოვანი გზის გამო ზურაბ ფირცხალეიშვილი ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზურაბ ფირცხალეიშვილი; ზურაბ ფირცხალეიშვილი (მარცხნიდან მესამე) თავის ყოფილ შეგირდებთან ვახილ ჯღარკავასთან, ზაზა ბლუაშვილთან და გიორგი ზარმბაზანაშვილთან ერთად.

ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“) ᲤᲝᲢᲝ.

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲐᲗ ᲔᲜᲓᲝᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

ᲡᲐᲝᲚᲥᲝ საარჩევნო კომისიები თავიანთ სხდომებზე რეგისტრაციაში ატარებენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს ტერიტორიულ და ეროვნულ-ტერიტორიულ ოლქებში.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად № 173 გორის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს გორის № 1 საკონსერვო ქარხნის მუშა, 1967 წელს დაბადებული, **ქეთევან გივის ასული ეგნატაშვილი** და ქარელის რაიონის ბრეთის საბჭოთა მეურნეობის მუშა, 1945 წელს დაბადებული, **ავთანდილ მიხეილის ძე ბარუაშვილი.**

№ 171 ბოლნისის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრაციაში გაატარეს მარნეულის რაიონის ალგეთის საბჭოთა მეურნეობის მუშა, 1965 წელს დაბადებული, **ფლორა მუსა უზი დამურჩიევა** და ქ. მარნეულის საწარმოო გაერთიანება „საქარამაფეიულის“ მუშა, 1958 წელს დაბადებული, **შალიკო ჯამალ ოღლი ალიევი.**

საბჭოთა კავშირის კულტურის ფონდის საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, 1926 წელს დაბადებული, **თენგიზ პავლეს ძე ბუაჩიძე** რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად № 493 ბათუმის შაუმიანის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად № 185 სოხუმის საკალაქო ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე, 1929 წელს დაბადებული, **ვიქტორია მოსეს ასული ხირაძე** და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ვირუსოლოგიის ლაბორატორიის გამგე, 1939 წელს დაბადებული, **ვიოლეტა ზოსიმეს ასული აგრბა.**

№ 189 ცხაკაიას ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებულია ცხაკაიას № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელი, 1938 წელს დაბადებული, **ელენე გიორგის ასული ჭილაია.**

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ—ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის შეხვედრა ამ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობასთან, აგრეთვე რესპუბლიკის დედაქალაქის ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე მიმდინარე ვრცელი სჯა-ბაასი შეეხო მრავალ საკითხს, მათ შორის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების ხარისხის პრობლემას, რესპუბლიკის ამ უდიდესი ტექნიკური სასწავლებლის შემოქმედებითი პოტენციალის აქტიურ გამოყენებას ეკონომიკის, მეცნიერების, მთლიანად გარდაქმნის საარსებო ამოცანების გადასაწყვეტად.

აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ჩოგოვაძე, ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო ნაწილის დარგში, პროფესორი დ. ჩხეიძე, კათედრის გამგე, პროფესორი ა. ლოსაბერიძე, კათედრის გამგე, პროფესორი ა. ბეთანელი, მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი მ. მინდელი, პროფესორი ე. ცისკარიშვილი, პროფესორი ა. მოწონელიძე, დოცენტი ი. თვალაჯაძე, სამხედრო კათედრის გამგე, პოლკოვნიკი გ. კალინინი, კათედრის გამგე, პროფესორი მ. ღოღობერიძე, კათედრის გამგე, პროფესორი ნ. ქორთუა, ინსტიტუტის პარტკომის მდივანი ი. ქელბაქიანი.

შეხვედრაზე გამოვიდა ჯ. ი. პატიაშვილი.

დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ახლანდელ პირობებში, როდესაც რესპუბლიკის საზოგადოებრივი, სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ პრაქტიკულად ყოველი საკითხი საყოველთაო განხილვის საგანი ხდება, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკური ინტელიგენციის ჩამოყალიბებულ, კონსტრუქციულ პოზიციას, რომელიც გამორიცხავს დილეტანტობასა და მისგან გამომდინარე შეცდომებს, თვალსაჩინო როლი ენიჭება მის კომპეტენტურ მონაწილეობას საკვანძო, მომწიფებული პრობლემების დაგაჯრაში. ამაზე დიდია არის დამოკიდებული მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ჰარმონიული, პროპორციული განვითარება.

აქედან გამომდინარე, უმაღლესი სასწავლებლის წინაშე დგას დიდმნიშვნელოვანი ამოცანა: მოამზადოს არა მარტო კვალიფიციური სპეციალისტი, არამედ, აგრეთვე, აღზარდოს აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე მამულიშვილი. საჭიროა დღეიდან ვუნერგავდეთ სტუდენტობას სოციალისტური იდეალების ერთგულების გრძნობას, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის არსის სწორ გაგებას. ბოლო უნდა მოეღოს ფორმალიზმს ახალგაზრდობასთან მუშაობაში, საქმით უზრუნველყოთ სტუდენტთა თვითმმართველობა, და ამ საქმეში, რა თქმა უნდა, თავისი სიტყვა უნდა თქვას უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირმა. ამ მხრივ ინსტიტუტში არც ისე ცოტა „ვიწრო ადგილია“.

ორატორებმა აგრეთვე ყურადღება მიაპყრეს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და ამა თუ იმ სპეციალობის მომავალ ინჟინერთა რაოდენობის დაგეგმვის პრობლემას. აღინიშნა, რომ აქ ჯერ კიდევ ეთმობა მთავარი ყურადღება რაოდენობრივ მაჩვენებელს. არადა, ცნობილია, რომ სახალხო მეურნეობაში უკვე შეიმჩნევა მთელი რიგი პროფესიების სპეციალისტთა მეტისმეტი სიჭარბე. ამავე დროს არის დარგები, რომლებიც ინჟინერთა მწვავე ნაკლებობას განიცდის.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტზე ამჟამად სწავლობენ 1200 დისციპლინას და საგანს. მართლაც რომ შთამბეჭდავი ციფრია, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი არ არის განმტკიცებული საჭირო რაოდენობის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებით. თანაც, ძნელია შეავსო მათი მწვავე დეფიციტი — ინსტიტუტს არა აქვს თავისი გამომცემლობა, რომელიც, სხვათა შორის, აქ მოქმედებდა ამ ოცი წლის წინათ. მართალია, ბოლო დროს ინსტიტუტის ხელმძღვანელობა კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებს, რათა განახლოს სასტამბო მუშაობა. უდავოა, რომ ყველა ამ და სხვა საკითხებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებაში. მაგრამ მთავარი მაინც მასწავლებლის პიროვნებაა. მის პასუხისმგებლობაზე, დამრიგებლის მოვალეობისადმი მიდგომასა და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული ამათი ფორმირება, ვინც ხვალ უნდა გაუძღვეს ჩვენი ცხოვრების წინსვლას. — მკაფიოდ გაისმა შეხვედრის მონაწილეთა გამოსვლებში. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲣᲬᲧᲚᲝᲓ?!

ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲨᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ წყალი დიდი ხნის პრობლემაა. უმთავრესად ამან წარმოშვა აქაური მოსახლეობის შარშანდელი უკმაყოფილებაც, როცა, წყლის დაბინძურებამ, როგორც ცნობილია, ქალაქში ტიფი გაჩინა. ამიტომაც უწინარესად სწორედ ცხინვალის წყლით, უზრუნველყოფას ვაკონტროლებ ნებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 ივნისის დადგენილება „სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ცხინვალ-ედისის წყალსადენის მშენებლობა. მისი დამთავრების ვადა 1991 წლიდან მიმდინარე წლის ბოლოსათვის არის გადმოტანილი. ეს მომავლის საქმეა. დღეისათვის კი არსებულ წყალსადენებს დიდი ყურადღება და პატრონობა უნდა.

ერთი შეხედვით საამოსოდ თითქოს ყველა ზრუნავს, მაგრამ სასურველი, მყარი შედეგი ყოველთვის არ ჩანს — წყალი სხვადასხვა მიზეზით ხშირად არ არის ქალაქში. ახლახან კი მეტისმეტად დიდხანს, მთელი კვირის მანძილზე უწყლოდ იყო ცხინვალი. ამის ძირითადი მიზეზი დიდთოვლობა და მკაცრი ყინვებია. 23 იანვარს კეხვის წყალსადენში ლიახვის შემდინარე მილებში, წყალი გაიყინა. ვარიანის წყალსადენში კი 25 იანვარს ელექტროენერგია გამოირთო.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გიორგი გასიევი, კომუნალური განყოფილების გამგე ივანეგნო გორგაძე და მთელი შესაბამისი სამსახური აწრიალდა, ყველაფერი კეთდებოდა შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ელექტრობაზების დაზიანების ადგილებში მუშაობა დიდთოვლობამ გაადნელა. გაიწმინდა გზა, მერე კი, როგორც იქნა, წყალსადენი დამატებით ბაზზე ჩართეს. აღდგენითს სამუშაოებს მთელი 15 საათი დასჭირდა. წყალსადენი ამოქმედდა, მაგრამ მეორე დღეს კვლავ გამოირთო ელექტროდენი.

აღსანიშნავია, რომ გორის ელქსელების (ხელმძღვანელი — ზაურ ბეჟანიშვილი) მეხვეურთა არაოპერატიული მუშაობის შედეგად ელექტროენერგიის მიწოდება ვარიანის წყალსადენისათვის ხშირად წყდება. მარტო იანვარში თორმეტჯერ გამოირთო ელექტროენერგია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყოველი გამორთვის შემდეგ რეზერვუარების გავსებას 5-6 საათი სჭირდება, ნათელი გახდება, თუ რა შეფერხებით იღებს წყალს ცხინვალი ვარიანიდან.

ცხინვალის ელქსელების სამსახურის კომპეტენციაში არ შედის ვარიანის წყალსადენის ელექტრომომსახურება, მაგრამ, როცა დიდი გასაჭირია, ისინი 22 კილომეტრის სიშორიდან უფრო მალე გამოჩნდებიან ხოლმე დასახმარებლად, ვიდრე გორის შესაბამისი სამსახურის მუშაკები, რომელთა მოვალეობაც არის ეს და, რომელიც წყალსადენიდან ხუთიოდე კილომეტრზეა.

ასე, მაგალითად, იანვრის ბოლო რიცხვებში ხუთჯერ ხანგრძლივი დროით გამოირთო მაღალი ძაბვის ხაზი და ხუთჯერვე ცხინვალელებმა აღადგინეს. ასეთი გულგრილობა და უპასუხისმგებლობა რბილად რომ ვთქვათ, გორელებს არ ეკადრებათ, რამეთუ მათზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მეზობელი ქალაქის სახიცოცხლო არტერიის გამართული მუშაობა.

კეხვის წყალსადენის ამუშავებაც გაჭიანურდა. მისი აღდგენის ხამუშაოებს მთელი კვირა მოუნდნენ. რთულ პირობებში სათანადო სამსახურებმა შეძლეს მდინარის ნაპირზე. სადრენაჟო მილის ჩაყენება. იანვრის ბოლოსათვის ორივე წყალსადენი ამოქმედდა. ქალაქმა წყალი მიიღო, მაგრამ სიხარული კვლავ ხანმოკლე აღმოჩნდა. პირველ თებერვალს ხაზი ისევ გამოირთო.

ასე ხდება თითქმის ყოველ მეორე დღეს. ნუთუ ძნელია ოპერატიული სამსახური მართლაც ოპერატიულად მუშაობდეს? საქენერგოს ხელმძღვანელობამ გადამჭრელი ღონისძიებები უნდა განახორციელოს იმისათვის, რომ ყველა ელქსელი თავის უბანს სათანადოდ ემსახურებოდეს. მავანთა უპასუხისმგებლობის გამო ცხინვალის მთელი მოსახლეობა და საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივები არ უნდა ზარალდებოდნენ!

ᲖᲘᲕᲘ ᲗᲝᲓᲝᲔᲕᲘ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠ.

საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1988 წელს

(გაგრძელება)

1988 წელს, წინა წელთან შედარებით, **მსუბუქი მრეწველობის საქონლის** წარმოების მატებამ შეადგინა 141,9 მილიონი მანეთი, ანუ 7 პროცენტი. ამ საქონლის გამოშვებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	ფაქტობრივად 1988 წლის განმავლობაში	დავალების შესრულების პროცენტი	1988 წელი პროცენტებით 1987 წელთან შედარებით
ქსოვილები, მილიონი კვადრატული მეტრი	137	96	104
ტრიკოტაჟის ნაწარმი, მილიონი ცალი	60,1	102,2	104
წინდები, მილიონი წყვილი	33,5	100,1	100,5
სამკერვალო ნაწარმი, მილიონი მანეთისა	609	103	102
ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	17,8	100,2	99,4

მსუბუქი მრეწველობის საქონლის მატების ძირითადი ნაწილი მიღებულია გაუმჯობესებული ხარისხის „ს" — ინდექსიანი ახალი ნაწარმისა და განსაკუთრებით მოდური ნაწარმის გამოშვების გადიდების გზით.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა ვერ შეასრულეს ბამბის ქსოვილების (დაკლებულია 6322 ათასი კვადრატული მეტრი), შალის ქსოვილების (88 ათასი კვადრატული მეტრი), ხალიჩებისა და ხალიჩის ნაწარმის (399 ათასი კვადრატული მეტრი) სახელმწიფო შეკვეთა. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 9 საწარმომ (57 საწარმოდან) ვერ გაართვა თავი სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას, რის გამოც მათ ჯარიმის სანქციებით გადაიხადეს 20 მილიონ მანეთზე მეტი.

არასახურსათო საქონლის (მსუბუქი მრეწველობის საქონლის გარდა) გამოშვება გაიზარდა 66,1 მილიონი მანეთით, ანუ 5 პროცენტით.

	ფაქტობრივად 1988 წლის განმავლობაში	დავალების შესრულების პროცენტი	1988 წელი პროცენტებით 1987 წელთან შედარებით
ფერადი გამოსახულების ტელევიზორები, ათასი ცალი	55,7	101	121
ავეჯი, მილიონი მანეთისა	152	90	102
საყოფაცხოვრებო საათები, ათასი ცალი	24,1	105	142
ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთისა	12,5	100,5	128
შპალერი, მილიონი პირობითი ნაჭერი	27,7	97	107
სუფთა ქაღალდის საქონელი, მილიონი მანეთისა	36,5	106	104
გალვანური ელემენტები და ბატარეები ელექტროსაყოფაცხოვრებო ნაწარმისათვის, მილიონი ცალი	75,1	99	98

მრავალმა საწარმომ თავი ვერ გაართვა არასასურსათო საქონლის წარმოების დადგენილ დავალებებს. იმ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა შორის, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს საგეგმო დავალებათა შესრულება, არიან საწარმოო გაერთიანებები: „ჩარხშენებელი", „ორგტექნიკა", „მარგარიწმრეწვი", „საქელექტრომანქანა", სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანა", კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი და ელექტრომექანიკური ქარხნები, ცხინვალის ქარხანა „ელექტროიბრომანქანა", ქუთაისის ლითოფონის ქარხანა.

საცალო საქონელბრუნვა და ფასიანი მომსახურება. 1988 წელს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ 6159,5 მილიონი მანეთი შეადგინა და 1987 წელთან შედარებით ფაქტობრივი ფასებით 526,5 მილიონი მანეთით გაიზარდა. გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით ვერ გაყიდა 328 მილიონი მანეთის საქონელი. საქონელბრუნვის მატება მოხდა გაყიდული საქონლის ფიზიკური მოცულობის ზრდისა და ასორტიმენტის შეცვლის, უფრო თანამედროვე, მოდური საქონლის გამოშვების გზით.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ცალკეული საქონლის გაყიდვისა და ნაყიდის საშუალო ჯგუფური ფასების ინდექსებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1988 წელი პროცენტებით 1987 წელთან შედარებით	
	გაყიდვა	ნაყიდის საშუალო ფასები
პურპროდუქტები	99	103
მოუხდელი რძის პროდუქცია	97	100
ყველი	99	97
ერბო-კარაქი	117	100,7
მცენარეული ზეთი	96	100
მარგარინის პროდუქცია	89	100
ხორცი და ხორცის პროდუქტები	107	97
თევზი და თევზის პროდუქტები	88	95
კვერცხი	100	100
შაქარი	101	101
საკონდიტრო ნაწარმი	111	98
ჩაი	101	107
კარტოფილი	113	102
ბოსტნეული	112	98
ხილი და ციტრუსი	88	103
უალკოჰოლო სასმელები	100	99
მინერალური წყლები	132	91
ხილისა და ბოსტნეულის წვენები	112	97
თამბაქოს ნაწარმი	89	101
ტანსაცმელი, თეთრეული და ქსოვილები	108	110
ტრიკოტაჟის ნაწარმი	111	109
წინდები	124	109
ტყავის ფეხსაცმელი	103	105
ფაიფურ-ქაშანურის, მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი	94	104
საპონი და სინთეზური სარეცხი საშუალებები	102	103
ავეჯი	101	...
მაცივრები და საყინავები	101	102
სარეცხი მანქანები	110	107
ელექტრომტვერსასრუტები	107	103
საათები	107	101
ფოტოაპარატები	127	92
რადიომიმღები მოწყობილობა	87	100,1
ტელევიზორები	108	102
მათ შორის ფერადი გამოსახულებისა	113	102
მაგნიტოფონები	100	102
სპორტული საქონელი (ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გარდა)	105	...
ველოსიპედები და მოპედები	101	101
მოტოციკლეტები და მოტოროლერები	97	100,1
მსუბუქი ავტომობილები (საკომისიო ვაჭრობის გარდა)	94	107
ხე-ტყის მასალები	122	...
შიფერი	111	100
ავტომობილის ბენზინი	110	100

1988 წელს ვაჭრობაში გაიგზავნა 2 მილიარდი მანეთის კვების პროდუქტები, რაც 22 მილიონი მანეთით, ანუ 1,1 პროცენტით მეტია, ვიდრე წინა წელს.

ვაჭრობაში მიღებული კვების პროდუქტების რესურსების საერთო მოცულობიდან 25 პროცენტი გაიგზავნა საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, დაახლოებით 15 პროცენტი — სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, საავადმყოფოებსა და ბავშვთა დაწესებულებებში. გამოყენება ვერ პოვა სამუშაო ადგილს მუშა-მოსამსახურეებისათვის კვების პროდუქტებისა და არასასურსათო საქონლის რეალიზაციის პრაქტიკამ.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის საკოლმეურნეო ბაზრის ფასები 1988 წელს 3 პროცენტით გაიზარდა. ქვეყნის ზოგიერთ სხვა ქალაქთან ერთად კილოგრამი პროდუქტის დიდი ფასები აღინიშნა საკოლმეურნეო ბაზრებში: ქალაქი თბილისი — ძროხის ხორცი (7 მანეთი), ღორის ხორცი (7 მანეთი), რძე (1 მანეთი და 75 კაპიკი ლიტრი), კვერცხი (2 მანეთი — ათი ცალი); ქალაქი ქუთაისი — რძე (2 მანეთი — ლიტრი); ქალაქი ბათუმი — ძროხის ხორცი (6 მანეთი), კვერცხი (2 მანეთი და 50 კაპიკი — ათი ცალი); ქალაქი სოხუმი — ძროხის ხორცი (7 მანეთი), ღორის ხორცი (6 მანეთი) რძე (2 მანეთი — ლიტრი), კვერცხი (2 მანეთი — ათი ცალი).

რესპუბლიკის მოსახლეობა სიძნელეებს განიცდის ტელე-რადიოაპარატურის, ელექტროსაქონლის, ავეჯის, ბევრი სახეობის ჭურჭლის, შპალერის, სარეცხი საშუალებების და იაფი ხელის საპნის შეძენაში.

რამდენადმე გაუმჯობესდა მოსახლეობის უზრუნველყოფა ხეტყისა და სამენი მასალებით, ისინი ვაჭრობაში მიღებულია 11 პროცენტით მეტი, ვიდრე 1987 წელს.

მსუბუქი მრეწველობის საქონლის რესურსების ნაკლებობის პირობებში ვაჭრობაში იყო თითქმის 41 მილიონი მანეთის გაუსავლელი და ჩაწოლილი საქონელი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას, არ შეესაბამება მოდის თანამედროვე მოდელებს, მოძველებული ფასონების, დაბალი ხარისხის მოდელები.

ყველაზინდებურად სერიოზული ნაკლოვანებებია მოსახლეობის მომსახურებაში. საზოგადოებრივი აზრის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მოსახლეობა კმაყოფილი არ არის საჯაჭრო მომსახურების დონით, აღინიშნა ვაჭრობის მუშაკთა უყურადღებობა, არაკომპეტენტურობა საქონლის ხარისხისა და თვისებების საკითხებში, ის რომ სამუშაო დროს გამყიდველები არ არიან სამუშაო ადგილებზე, გადიდებული მოთხოვნის საქონელი იყიდება დატვირთვით, არ არის საფასურები და სხვ.

ბევრ შემთხვევაში აღინიშნება მაღაზიებში სასაქონლო რესურსების არარიტმული შემოტანა, რაც იწვევს გაუმართლებელ შეფერხებებს ვაჭრობაში, ქმნის ხელოვნურ დეფიციტს.

მოსახლეობას გაეწია 998 მილიონი მანეთის **ფასიანი მომსახურება,** რაც 104,4 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე 1987 წელს. ამავე დროს წლისათვის დადგენილი საგეგმო დავალების შესრულებას დააკლდა 84,7 მილიონი მანეთი. დავალებებზე ნაკლები იყო მათი მოცულობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (98,3 პროცენტი), ქალაქებში თბილისში (89,7) და ტყიბულში (99,1 პროცენტი), ონის, მესტიის, საგარეჯოს, ახალციხის, ლენტეხის, ბოლნისის, ყვარლის, წულუკიძის, ცხაკაიას, ბორჯომისა და ხაშურის რაიონებში (89,7-97,2 პროცენტი).

სრულად არ გამოიყენება საწარმოებსა და ორგანიზაციებში ფასიანი მომსახურების უფრო ფართო შესაძლებლობანი — სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების დაახლოებით მესამედმა, რომლებისთვისაც ასეთი მომსახურების გაწევა ძირითად საქმიანობას არ შეადგენს, ვერ უზრუნველყო სახელმწიფო გეგმის შესრულება.

მოსახლეობას გაეწია 358,8 მილიონი მანეთის საყოფაცხოვრებო მომსახურება, ანუ 26,3 პროცენტით მეტი, ვიდრე 1987 წელს. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმა შესრულდა 109,4 პროცენტით. მიუხედავად ამისა, ამ მომსახურების სახეობათაგან ბევრზე მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება, კერძოდ, ტანსაცმლის ქიმიურ წმენდასა და თეთრეულის რეცხვაზე. საანკეტო გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ სარემონტო-სამშენებლო მომსახურების შემკვეთთაგან ყოველმა მეხუთემ ვერ შეასრულა შეკვეთა პირველი მიმართვით.

სახლთა მშენებლობა. რესპუბლიკის მოსახლეობამ მიიღო დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენებული 1771 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის 24 ათასი ახალი კეთილმოწყობილი ბინა, რაც 34 ათასი კვადრატული მეტრით მეტია, ვიდრე საშუალოდ ორი წინა წლის მანძილზე. საბინაო პირობები გაიუმჯობესა 136,9 ათასმა კაცმა.

ბინების მწყობრში ჩაყენების წლიური დავალება არ შესრულებულა. ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების ხარჯზე საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა ვერ შეასრულეს საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრომ, თბილისის საქალაქო აღმასკომის საინჟინრო ნაგებობათა დირექციამ, სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტროს „კაკავასელექტროქსელმშენის" ტრესტმა, სსრ კავშირის გზათა სამინისტროს თბილისმეტროპოლიტენმა, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის ორგანიზაციებმა.

რესპუბლიკის საბინაო ფონდმა შეადგინა 95,3 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი, საშუალოდ ერთ მცხოვრებზე — 17,9 კვადრატული მეტრი, მთ შორის საცხოვრებელი ფართობი — 12,8 კვადრატული მეტრი. კვლავ მწვავეა საბინაო საკითხი, საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის აღრიცხვაზე ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში 1988 წლის დამლევისათვის იყო 122 ათასი ოჯახი.

კაპიტალურად შეკეთდა 987 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის 16 ათასი ბინა. 110 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს ძალზე გაცვეთილ ბინებში (ძველ და ავარიულ ბინებში).

სახალხო განათლება და კულტურა. სხვადასხვა სასწავლებლებში სწავლობდა 1,5 მილიონამდე კაცი.

პირველი კლასის პროგრამით მიმდინარე სასწავლო წელს სწავლობს ექვსი წლის ასაკის 82,5 ათასი ბავშვი, აქედან 6,3 ათასი— სკოლამდელ დაწესებულებებში.

მუდმივ სკოლამდელ დაწესებულებებში იზრდება შესაბამისი ასაკის 213 ათასი ბავშვი, ანუ 46 პროცენტზე მეტი. სკოლამდელ დაწესებულებათა ამოქმედების წლიური პროგრამა არ შესრულებულა; საექსპლოატაციოდ გადაეცა 8982 ბავშვისათვის გათვალისწინებული ასეთი დაწესებულებანი.

კვლავ გადატვირთულია მრავალი სკოლამდელი დაწესებულება, განსაკუთრებით ქალაქის დასახლებებში. დადგენილი ნორმების გადამეტებით იქ არის 13 ათასზე მეტი ბავშვი. გარდა ამისა, 53 ათასამდე ბავშვს სჭირდება სბავშვო ბაღ-ბაღებში მოწყობა.

დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 22,4 ათასი მოსწავლისათვის, რაც 26 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე წინა წელს; მათი ამოქმედების გეგმა არ შესრულებულა. ყოველი მეოთხე მოსწავლე მეორე და მესამე ცვლაში მეცადინეობს.

სკოლები საკმარისად არ არის აღჭურვილი გამოთვლითი ტექნიკით, დღის სამეალო სკოლების მხოლოდ 3,8 პროცენტს აქვს ინფორმატიკის საფუძვლებისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტები.

საშუალო განათლება მიიღო 80,9 ათასმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში 1988 წელს მიიღეს 33,2 ათასი კაცი, ანუ წლიური დავალების 68 პროცენტი. აშენდა სასწავლებლები 5580 მოსწავლისათვის. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა შესრულებული.

უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს 13,2 ათასი სპეციალისტი, საშუალო სპეციალურმა სასწავლებელმა — 15,7 ათასი; უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი გახდა 85,6 ათასი კაცი, საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლე — 47,9 ათასი კაცი.

1988 წელს მასობრივი ბიბლიოთეკების რიცხვმა შეადგინა 4 ათასი, რომელთა წიგნებისა და ჟურნალების ფონდი 45 მილიონ ეგზემპლარს აღემატება; მათი მკითხველების რიცხვი 3 მილიონს შეადგენს.

ამჟამად 3 ათასამდე საკლუბო დაწესებულებაა, სადაც დაახლოებით 700 ათასი ადგილია. წლის განმავლობაში აშენდა კლუბები და კულტურის სახლები 2640 კაცისათვის; წლიური დავალება არ შესრულებულა.

კინოდანადგარების ქსელმა 1988 წლის დამლევისათვის შეადგინა 2,2 ათასზე მეტი. კინოსეანსებზე დასწრება დარჩა 1987 წლის დონეზე — საშუალოდ ერთი მცხოვრები ესწრებოდა ათჯერ.

რესპუბლიკაში იყო 33 პროფესიული თეატრი და 121 მუზეუმი.

არსებითად გაიზარდა წიგნების, ბროშურების, გაზეთებისა და ჟურნალების ტირაჟები, ამასთან მარტო წიგნები და ბროშურები გამოიცა დაახლოებით 30 მილიონი ცალი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. შემცირდა ტუბერკულოზით, ცალკეული ინფექციური დაავადებებით ავადობა. ამავე დროს აღირიცხა ქრონიკული სენით დაავადების დაახლოებით 270 ათასი შემთხვევა პირველად დადგენილი დიაგნოზით, თითქმის 198 ათასი ტრავმა და 900-ზე მეტი მოწამვლა, 43 ათასზე მეტი გრიპით დაავადების შემთხვევა.

გაიზარდა ექიმებით, საშუალო სამედიცინო პერსონალით, საავადმყოფოებითა და პოლიკლინიკებით მოსახლეობის უზრუნველყოფა. მაგრამ მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების მოთხოვნილება მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებაზე მთლიანად ვერ კმაყოფილდება. საავადმყოფო საწოლებით უზრუნველყოფა რესპუბლიკაში საშუალო საკავშირო დონეზე გაცილებით ნაკლებია.

წლის განმავლობაში ამოქმედდა ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებანი, სადაც პაციენტების მიღება ცვლაში შეადგენს 3255 კაცს, ანუ დადგენილ დავალებაზე 520-ით ნაკლებია; ამოქმედდა საავადმყოფოები 1700 ავადმყოფისათვის, წლიური გეგმა ამ ხაზით არ შესრულებულა.

შრომის დაცვის ღონისძიებებისათვის დანახარჯებმა შეადგინა 75 მილიონი მანეთი, ამავე დროს ჯერ კიდევ დიდია ტრავმატიზმი საწარმოებში, ბევრ მათგანში არ განხორციელებულა ხმაურის, დამტვერიანების, დგაზიანების შემცირების ღონისძიებანი.

გაფართოდა სანატორიუმებისა და დასასვენებელი დაწესებულებების ქსელი, ადგილების რიცხვმა იქ 100 ათასს გადააჭარბა.

ჩამორჩება ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება. სპორტული ნაგებობებით უზრუნველყოფა ნორმატივთან შედარებით მესამედზე ნაკლებს შეადგენს. კვლავ მწვავეა სპორტული და ტურისტული აღჭურვილობითა და ინვენტარით, სპორტისა და ტურიზმისათვის საჭირო ტანსაცმელითა და ფეხსაცმლით მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების პრობლემა.

1988 წელს რესპუბლიკის მოსახლეობის შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლებმა შეადგინა 17,3 და 9,0 ათას კაცზე გაანგარიშებით, 1987 წლის 17,9 და 8,8-თან შედარებით.

ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა (რომლებიც გარდაიცვალნენ წლამდე ასაკისა 1000 ახალშობილზე) რამდენადმე შემცირდა — 1987 წლის 24,3-დან 22,2 ბავშვამდე 1988 წელს. ამავე დროს არსებული დონე კვლავ ძალზე მაღალია, რაც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ნაკლოვანებებით ქალთა და ბავშვთა სამედიცინო დახმარების ორგანიზაციაში და ქალის შრომის არასასიკეთო პირობებით.

წინა წელთან შედარებით რამდენადმე შემცირდა აღრიცხულ **დანაშაულობათა** რაოდენობა. აქედან დაახლოებით ნახევარი მოდის ანგარებიან დანაშაულობათა წილად. შემცირდა ქუჩაში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვი. შემცირების ტენდენცია იგრძნობა პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობებშიც. მაგრამ 1988 წელს 1987 წელთან შედარებით გაიზარდა მკვლელობათა რიცხვი. ყველა დანაშაულის მეათედი ჩადენილია ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში.

არყისა და შინგამომუშავებული სხვა მაგარი სასმელების დამზადებასთან დაკავშირებულ დანაშაულობათა რიცხვი წინა წელთან შედარებით შემცირდა 40 პროცენტით და მეტად.

არ მცირდება უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დანაშაულებრივი დარღვევების რიცხვი; მათმა როლენობამ განვლილ წელს შეადგინა 1,6 ათასი.

გარემოს დაცვა. ბუნების დაცვის ღონისძიებებისათვის დანახარჯების საერთო თანხამ (მათ შორის სატყეო მეურნეობისათვის დანახარჯებმა) შეადგინა დაახლოებით 100 მილიონი მანეთი, მათ შორის 38 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება.

სტაციონარული წყაროებიდან ჰაერის აუზში მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევა 1987 წელთან შედარებით შემცირდა 72 ათასი ტონით, ანუ 7,3 პროცენტით. რამდენადმე შემცირდა ქალაქების ბათუმის, რუსთავის, ზესტაფონის, კასპის ატმოსფეროს გაჭუჭყიანება.

ამავე დროს ჰაერდაცვის სამუშაოთა მასშტაბი ბევრ საწარმოში საკმარისი არ არის. გასულ წელს გაიზარდა იმ საწარმოთა მავნე ზემოქმედება, რომლებიც ექვემდებარებიან საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებს „საქტყემრეწვს", „აზოტს", „საქქიმიაღლდმრეწვს". არ შეუმცირებიათ მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევები ჰაერის აუზში საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირს", რუსთავის ცემენტის ქარხანას.

ჰაერის გაჭუჭყიანებასთან დაკავშირებით დაძაბული ეკოლოგიური ვითარება იქმნებოდა თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, ზესტაფონში.

საბრუნი და თანამომდევრული წყალმომარაგების მოცულობამ, რომელიც უზრუნველყოფს ახალი წყლის აღების ეკონომიას და გაჭუჭყიანებული ჩამონადენების ჩაშვების შემცირებას, შეადგინა მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი, ანუ საწარმოო საჭიროებისათვის საერთო წყლის მოხმარების დაახლოებით 45 პროცენტი. სარწყავ სისტემებში ტრანსპორტირების დროს წყლის დანაკარგების დონე მთლიანად რესპუბლიკაში წინა წელთან შედარებით რამდენადმე შემცირდა, მაგრამ ნაკლოვანებები წყლის რესურსების გამოყენებაში კვლავ არის, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, სადაც დაძაბულია წყლის ბალანსი; სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა თითქმის სამ მეოთხედში, რომლებიც შერჩევით შემოწმდა 1988 წელს, წყალი გადაიხარჯა დადგენილ ნორმებთან შედარებით,

მშენებლობის ნაკლოვანებების გამო ჩაიფუშა ჩამდინარე წყლების საწმენდ ნაგებობათა ამოქმედება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის, საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმშენის ერთიანი შეკვეთის სამსახურის რესპუბლიკური გაერთიანების მთელ რიგ ობიექტებში. მთლიანად ვერ აითვისეს კაპიტალდაბანდებანი წყლის დაცვის ნაგებობათა მშენებლობისათვის საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, ერთიანი შეკვეთის სამსახურის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ.

გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენდა ქალაქებში ბათუმსა და ფოთში წყლის ავარიული გაჭუჭყიანების შემთხვევები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

მოქმედი წარმოების ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას მოხმარდა 484,7 მილიონი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება, ანუ 9,8 პროცენტით ნაკლები, ვიდრე 1987 წელს. საწარმოო მშენებლობის მოცულობაში მისმა წილმა შეადგინა 20,8 პროცენტი (1987 წელს — 24,2 პროცენტი) საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარმა სახსრებმა შეადგინა სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობის 58 პროცენტი.

მრეწველობაში 1988 წელს დაიდგა 76 მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზი, 4 რობოტიზებული ტექნოლოგიური კომპლექსი, 3 მოქნილი საწარმოო მოდული. დანერგილია 59 სამრეწველო რობოტი, რიცხული პროგრამული მართვის 61 ლითონსაჭრელი ჩარხი, მათ შორის 8 დასამუშავებელი ცენტრი. მაგრამ ამ დიდმწარმოებლური მოწყობილობის დანერგვის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა 1987 წელთან შედარებით.

მრეწველობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის გზით დაზოგილია დაახლოებით 35 მილიონი მანეთი.

სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში კომპლექსურ-მექანიზებული სანგრევებიდან ქვანახშირის მოპოვების დავალება შესრულებულია 46,7 პროცენტით.

მეტალურგიულ კომპლექსში რამდენადმე გაიზარდა ეკონომიურ სახეობათა პროდუქციის წარმოება. წარმოებულია გათვალისწინებულზე მეტი ელექტროფოლადი. მაგრამ ვერ შესრულდა ფოლადის ჭწყვეტი ჩამოსხმის წილის ზრდის დავალება მის საერთო გამოშვებაში.

ქიმიურ-სატყეო კომპლექსში გაიზარდა სინთეზური ბოჭკოებისა და ძაფის წარმოება. 1988 წელს წარმოებულია 7,6 პროცენტით მეტი ბოჭკო და ძაფი, ვიდრე წინა წელს. ათვისებულია ახალი სუფთა ქაღალდის ნაწარმისა და ავეჯის კომპლექტების წარმოება.

რკინიგზის ტრანსპორტზე სატვირთო მატარებლის ბრუტოს საშუალო მასამ შეადგინა 2199 ტონა ანუ საგეგმო დავალებაზე 0,9 პროცენტით მეტი. სატვირთო მატარებლის მოძრაობის ტექნიკური სიჩქარე წინა წელთან შედარებით 2 პროცენტით შემცირდა და შეადგინა საათში 39,2 კილომეტრი. თხევადი სათბობის დეფიციტის მიუხედავად, გზასათბობიანი ავტომობილების ტვირთბრუნვის წილი საერთო სარგებლობის **საავტომობილო ტრანსპორტის** ტვირთბრუნვის საერთო მოცულობაში დაბალი რჩება (2,4 პროცენტი).

სამშენებლო კომპლექსში ნელა იზრდება პროგრესული მეთოდებით შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობები. წინა წელთან შედარებით სრულასაყოფ მშენებლობაში ისინი შემცირებულია 4 პროცენტით, მსხვილპანელიანი მოცულობით-ბლოკური და მსხვილ-ბლოკური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში — 20 პროცენტით და მანქანებისა და მექანიზმების გამოყენებით მონოლითური რკინა-ბეტონისაგან კონსტრუქციების და ნაგებობების მშენებლობაში — 6,5 პროცენტით.

აგროსამრეწველო კომპლექსში ვერ შესრულდა ინტენსიური ტექნოლოგიით ხორბლის, სამარცვლე სიმინდის, ლობიოს და კარტოფილის თესვა-მოყვანის, ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების მარცვლეული კულტურების თესვის, წარმოების ნაკადურ-საამქრო სისტემით ძროხისა და ღორის შენახვის დავალებანი.

სახელმწიფო ბიჯეტიდან, სამინისტროთა, გაერთიანებათა და საწარმოთა სახსრებიდან მეცნიერებისათვის ხარჯები წინა წელთან შედარებით თითქმის 12 პროცენტით გაიზარდა.

სახელმწიფო რეესტრებში რეგისტრირებულია 680 გამოგონება საქართველოს სსრ რესპუბლიკიდან 1987 წლის 661-თან შედარებით.

შეიქმნა მანქანების, მოწყობილობის, აპარატების, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების 75 ნიმუში. ათვისებულია 95 ახალი სახეობის სამრეწველო ნაწარმის წარმოება. მანქანათაშენებელ კომპლექსში პროდუქციის განახლებამ შეადგინა 14,8 პროცენტი (გეგმით გათვალისწინებული იყო 10,1). მაგრამ მანქანათმშენებლობის ასათვისებელ ნაკეთობათა ტექნიკური დონე, საიმედოობა და კონკურენტუნარიანობა კვლავ მცირეა; მანქანათმშენებლობის ნაკეთობათა ცალკეული სახეობების მიხედვით (ავტომობილები, ლითონსაჭრელი ჩარხები), არ შემცირებულა პროდუქციის წილი, რომელზეც მიღებულია რეკლამაციები.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა ახალი პროდუქციის მიწოდების სახელმწიფო შეკვეთა შესრულდა ყველა საწარმომ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სოხუმის ნახშირორეანგის ექსტრაქტების ქარხნის გარდა (შესრულება 44 პროცენტი).

ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმის ცალკეული დავალებანი ვერ შეასრულეს რესპუბლიკის ადგილმრეწვის, ავტოტრანსგზის, კავშირგაბმულობის სამინისტროების, სახმშენის საწარმოებმა.

საქართველოს სსრ ცალკეულმა საწარმოებმა და გაერთიანებებმა ვერ შეასრულეს წარმოების „ვიწრო ადგილების" ლიკვიდაციისა და „ხარისხი-90" რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამებით გათვალისწინებული 20-ზე მეტი დავალება.

რესურსდაზოგვა

გრძელდებოდა განვითარების ექსტენსიური გზიდან ინტენსიურისაკენ გადასვლის პროცესი, გაუმჯობესდა რესურსდაზოგვის მაჩვენებლები. 1988 წელს ეროვნული შემოსავლის მასალატევადობა შემცირდა 3,0 პროცენტით, საწარმოთა წმინდა პროდუქციისა 4,1 პროცენტით მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალოდ წელიწადში 0,2 და 0,1 პროცენტთან შედარებით.

წარმოებული ეროვნული შემოსავლის ენერგო და ლითონტევადობის შემცირების შედეგად შავი ლითონების, საქვაბე-საღუმლე სათბობისა და თბოენერგიის მოთხოვნილების მატება 1988 წელს მთლიანად უზრუნველყოფილი იყო მათი ეკონომიის ხარჯზე.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაზოგილია 20,8 ათასი ტონა შავი ლითონების ნაგლინი, 64,3 ათასი ტონა ცემენტი, 71,3 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე, 282,5 ათასი ტონა სათბობ-ენერგეტიკული რესურსები (პირობით სათბობზე გადაანგარიშებით). ენერგორესურსების ეკონომია მიღწეულია არა მარტო ხარჯვის ინდივიდუალური ნორმების შემცირების გზით, არამედ წარმოებული პროდუქციისა და შესრულებულ სამუშაოთა სტრუქტურის შეცვლის გზით.

მანქანათმშენებლობის პროდუქციის მასალატევადობის შემცირებამ უზრუნველყო 8,1 ათასი ტონა შავი ლითონების ნაგლინის ეკონომია.

სამშენებლო ორგანიზაციებმა და მშენინდუსტრიის საწარმოებმა დაზოგეს დაახლოებით 10 ათასი ტონა შავი ლითონების ნაგლინი და 59 ათასი ტონა ცემენტი.

ამასთანავე პროგრესული და პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და სისტემების, დიდმწარმოებლური მოწყობილობისა და ეკონომიის სხვა საშუალებების ნელი დანერგვის გამო მატერიალური რესურსების ნარჩენების დანაკარგები მრეწველობასა და მშენებლობაში ჯერ კიდევ დიდია.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გაიზარდა დაუდგმელი მოწყობილობის ნარჩენების ღირებულება. განსაკუთრებით დიდია ისინი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის „თბილისლუდის" საწარმოო გაერთიანებაში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის" საწარმოო გაერთიანებაში, საქართველოს სსრ სახმშენის საწარმოებში.

ბიბლიოთეკა

მართვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა

1988 წელი იყო სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პირობებში მუშაობის პირველი წელი, სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე მასობრივი გადასვლის წელი. მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობდა 1.248 საწარმო და ორგანიზაცია, სადაც დასაქმებულთა საერთო რიცხვი შეადგენდა 555,2 ათასს (სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საერთო რიცხვის 21,6 პროცენტი).

სრული სამეურნე

საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1988 წელს

(დასასრული)

წველობის სამინისტროს „კასპცემენტის“ საწარმოო გაერთიანებაში, მხოლოდ 15 პროცენტით რკინაბეტონის ნაკეთობათა საწარმოო სიმძლავრეები სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტროს კოლხეთის საშენ მასალათა ქარხანაში, 12 პროცენტით შეკერილი ნაწარმის საწარმოო-სიმძლავრეები საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში. 1988 წელს სრულებით არ გამოუყენებიათ მანქანებისა და მოწყობილობის საწარმოო სიმძლავრეები სსრ კავშირის საოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანის“ თეთრი წყაროს საცდელ-მექანიკურ ქარხანაში, უალკოჰოლო სასმელების საწარმოო სიმძლავრეები საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ახალქალაქის ლუდისა და ხილის წყლების ქარხანაში.

დაშვებული ჩამორჩენის შედეგად მარტო ოცმა შემოწმებულმა ობიექტმა დააკლო სახელმწიფოს 34 მილიონი მანეთის პროდუქცია, მათ შორის ზემოთ დასახელებულმა საწარმოებმა — 18 ათასი ტონა ცემენტი, 40 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის ნაწარმი, 1,4 მილიონი მანეთის შეკერილი ნაწარმი, 2,1 მილიონი მანეთის მანქანები და მოწყობილობა, 517 ათასი დეკალიტრი უალკოჰოლო სასმელები.

პროდუქციის სახელმწიფო მიღების პირობებში მომუშავე მრეწველობის საწარმოებსა და გაერთიანებებში 1988 წელს პირველი წარდგენებით მიღებული არ არის 154 მილიონი მანეთის პროდუქციის 11 პროცენტი, საბოლოოდ დაწუნებულია 472 ათასი მანეთის პროდუქცია.

1988 წელს სახალხო-სამეურნეო კომპლექსებში საქმიანობის მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი (პროცენტობით):

	პროდუქციის მიწოდების შეგირდებლობათა ფარგლებში სრულება		მომზმარებლებს არ მიწოდებული საქონლის	საწარმოოს წელი, რომელშიც არ	შეასრულეს სახელმწიფო	მოგების გეგმის შესრულება (ან-		მატების ფაქტობრივი ტემპი	
								პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
სათბობ-ენერგეტიკური კომპლექსი	99,3	1008	12,5		87,1	0,2	—0,2		
მეტალურგიული კომპლექსი	98,6	7896	42,9		3,3-ჯერ	1,0	5,1		
მანქანათმშენებლობის კომპლექსი	97,1	25176	47,4		80,6	6,7	9,2		
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი	98,6	12172	25,0		98,4	—1,8	0,9		
აგროსამრეწველო კომპლექსი	99,3	34439	8,2		99,9	1,3	2,5		
სოციალური კომპლექსი (სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო)	99,8	3404	15,0		101,7	4,2	8,6		
სამშენებლო კომპლექსი (სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო და საქართველოს სსრ სახმშენი)	91,7	22416	26,3		70,6	0,4	—1,3		
საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	98,8	5329	50,0		101,0	7,8	8,5		

1988 წლის დავალებათა გადამეტებით **სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის** საწარმოებმა მოიპოვეს 65,6 ათასი ტონა ნავთობი და 36,1 მილიონი კუბური მეტრი თანამდევი გაზი.

ამასთანავე წლის მანძილზე ჩამორჩენით მუშაობდა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირი“, რომელმაც ერთი წლის მანძილზე მომზმარებელს დააკლო 49 ათასი ტონა ქვანახშირი (დასაკოქსებლად დააკლო 55 ათასი ტონა ქვანახშირი).

მთლიანად კომპლექსის მიხედვით მომზმარებელს არ მიაწოდეს მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია, რომელიც მთლიანად მოდის საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირზე“.

მეტალურგიული კომპლექსის საწარმოებმა უზრუნველყვეს მეტწილ სახეობათა შავი და ფერადი მეტალურგიის პროდუქციის საგეგმო დავალებათა შესრულება. ამასთან მთლიანად კი შესრულდა საგეგმო დავალებანი, მაგრამ არ შესრულებულა მეორე სორტების გარეშე ფოლადის მილების წარმოების (ათასი მეტრი) და მანგანუმის მადნის მოპოვების სახელმწიფო შეკვეთა.

გაიზარდა ისეთი ეკონომიური სახეობების ლითონპროდუქციის წარმოება, როგორიც არის სატუმბ-საკომპრესორო და ანტიკოროზიული საფარის მქონე მილები. მაგრამ მათს გამოშვებაში დაშვებული ჩამორჩენა დაძლეული არ არის. ეს, თავის მხრივ, უარყოფითს გავლენას ახდენს მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაზე.

1987 წელთან შედარებით კომპლექსის საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას, გაიზარდა. ყველაზე დიდი ჩამორჩენა პროდუქციის მიწოდებაში დაუშვეს საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმმა“ (სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება 95,3 პროცენტი) და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ (97,3 პროცენტი).

განვლილ წელს უზრუნველყოფილია **მანქანათსაშენებელი კომპლექსის** უპირატესი განვითარება. მანქანათმშენებლობის პროდუქციის მატების ტემპი მნიშვნელოვნად აღემატებოდა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის ტემპს.

ამასთანავე არ შესრულებულა სახელმწიფო შეკვეთა მრავალი უმნიშვნელოვანესი სახეობის მანქანებისა და მოწყობილობის მიხედვით. სახალხო მეურნეობამ დავალებებით გათვალისწინებული მოცულობებით ვერ მიიღო მაგისტრალური ელმავლები, მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისათვის განკუთვნილი მანქანები და მოწყობილობა, ცვლადი დენის და მცირე სიმძლავრის ელექტროძრავები, ავტომობილის მისაბმელები და ნახევარმისაბმელები, ლითონსაჭრელი ჩარხები.

ცალკეულ სახეობათა ელექტროტექნიკური და ჩარხმშენებლობის პროდუქციის მიხედვით ჩამორჩენა ქმნის სიძნელეებს სამრეწველო საწარმოების, უწინარეს ყოვლისა, თვით მანქანათმშენებლობის დარგის ტექნიკურ განახლებაში. აგროსამრეწველო კომპლექსის გადამამუშავებელი დარგებისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობის წარმოება იზრდებოდა სწრაფი ტემპით. მაგრამ მისი გამოშვების დავალებანი აგრეთვე არ იყო უზრუნველყოფილი.

ვერ შესრულდა ისეთ პროგრესულ სახეობათა მოწყობილობის გამოშვების დავალებანი, როგორიც არის რიცხეული პროგრამული მართვის მქონე ლითონსაჭრელი ჩარხები, დიზელის ძრავიანი ავტომობილები, მმართველი და გამოთვლითი კომპლექსები, ვლ-15 მაგისტრალური ელმავლები.

შენარჩუნებული იყო ურიტმულობა მანქანათსაშენებელი ქარხნების მუშაობაში. დეკემბრის უკანასკნელ სამუშაო კვირაში გამოუშვეს საწარმოო გაერთიანებებმა: „ჩარხმშენებელმა“ — ლითონსაჭრელი ჩარხების თვიური წარმოების ნახევარზე მეტი.

ქიმიურ-სატყეო კომპლექსის საწარმოებში უპირატესი ტემპით ვითარდებოდა ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფის, სამკურნალწამლო საშუალებების, ქაღალდის წარმოება. ამასთანავე პროდუქციის მეორე უმნიშვნელოვანესი ნომენკლატურის მიხედვით სახელმწიფო შეკვეთის დავალებანი ვერ შესრულდა.

სერიოზული ჩამორჩენაა დაშვებული ერთ-ერთი ძირითადი სახეობის სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების — კაპროლაქტამის წარმოებაში (95,5 პროცენტი).

1988 წელს ხუთწლედის დამდეგიდან პირველად უზრუნველყოფილია ისეთი მნიშვნელოვანი სახეობის პროდუქციის წარმოების საგეგმო დავალებათა შესრულება, როგორიც არის თერმოპლასტიკის მილები, რომლებიც ეფექტიანად ცვლიან ლითონის მილებს.

დასახულზე ნაკლები იყო წარმოებული სანედლეულო ქიმიური პროდუქტები (სინთეზური ამიაკი) რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტმი“. სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს ტერიტორიულმა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ „საქტყემრეწვიგამ“ ვერ უზრუნველყო ავეჯისა და დახერხილი ხე-ტყის წარმოების დავალებანი.

საშენ მასალათა საწარმოების მიზეზით მშენებლებს დააკლეს დადგენილ დავალებებთან შედარებით მნიშვნელოვანი რაოდენობის არადანეული და საკვდლე მასალები, მათ შორის აგურის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები, რბილი საბურულე მასალები და შიფერი, ცემენტი.

გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას დააკლო 24,8 მილიონი კვადრატული მეტრი რუბეროიდი, 1,5 ათასი ტონა სახურავი მუყაო, „კასპცემენტის“ საწარმოო გაერთიანებამ: 31 მილიონი პირობითი ფილა შიფერი, 395 ათასი ტონა ცემენტი, მეტეხის საშენ მასალათა კომბინატმა — 57,7 მილიონი ცალი პირობითი აგური.

ცალკეულ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	ვაქტობრივად 1988 წელს	დავალების შესრულების პროცენტი	1988 წელი პროცენტობით 1987 წელთან შედარებით
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატსაათი	14,6	100	100,4
ნავთობი (მათ შორის გაზის კოდენსატი) ათასი ტონა	186	1,5-ჯერ	102
თანამდევი გაზი, მილიონი კუბური მეტრი	51,1	3,4-ჯერ	108
ქვანახშირი, ათასი ტონა	1426	97	88
ფოლადი, ათასი ტონა	1451	100,8	100,4
შავი ლითონების ნაგლინი (მზა), ათასი ტონა	1225	100,4	103
ფოლადის მილები, ათასი ტონა	517	100,1	101
მანგანუმის მადანი, ათასი ტონა	1839	100,5	88
ჩასაძირი ელექტროძრავები, ათასი ცალი	10,5	100,2	110
ცვლადი დენის ელექტროძრავები, ათასი კილოვატი	99,4	76	84
ლითონსაჭრელი ჩარხები, ცალი			
მათ შორის რიცხეული პროგრამული მართვისა	140	92	116
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	56,2	100,4	121
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	47,2	100,3	101
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიონი მანეთისა	7,1	106	76
მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისათვის განკუთვნილი მანქანები და მოწყობილობა, ათასი მანეთისა	997	85	145
ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები კვების, რძის, თევზის მრეწველობისათვის, მილიონი მანეთისა	35,8	99,6	108
მინერალური სასუქები (ყუათიანი ნივთიერებების 100 პროცენტზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	157	101	101
ქიმიური ბოჭკოები და ძაფი, ათასი ტონა	39,7	103	108
სამკურნალწამლო საშუალებანი, მილიონი მანეთისა	58,1	102	107
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი (მოქმედი ნივთიერების მიხედვით 100 პროცენტი გაანგარიშებითი), ტონა	139	139	106
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები (კაპროლაქტამი), ათასი ტონა	39,2	95	107
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობების მიერ ხე-ტყის დამზადების გარდა), ათასი ფესტმეტრი	163	100,1	99,5
ქაღალდი, ათასი ტონა	28,5	102	103
ცემენტი, ათასი ტონა	1352	78	91
აზბესტცემენტის ფურცლები (შიფერი), მილიონი პირობითი ფილა	26,0	46	88
ასაწყობი რკინაბეტონი, ათასი კუბური მეტრი	1745	93	105
რბილი საბურულე მასალები და იზოლი, მილიონი კვადრატული მეტრი	93,8	82	110
საკვდლე მასალები, მილიონი ცალი პირობითი აგური	728	83	107

1989 წლის დამდეგისათვის 26 სამრეწველო საწარმოსა და უწყებაში ხელშეკრულებებით გაფორმებულია 1989 წელს მისაწოდებელი პროდუქციის მოცულობის 80,3 პროცენტი.

აგროსამრეწველო კომპლექსი

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 1987 წელთან შედარებით გაიზარდა 139,2 მილიონი მანეთით, ანუ 4,4 პროცენტით. მემცენარეობის პროდუქცია გაიზარდა 143,3 მილიონი მანეთით, ანუ 6,8 პროცენტით; მეცხოველეობის პროდუქცია შემცირდა 4,1 მილიონი მანეთით, ანუ 0,4 პროცენტით.

1988 წელს ერთგვარად გაჯანსაღდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ეკონომიკური მდგომარეობა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოგებამ ყველა სახეობის საქმიანობის მიხედვით ერთ წელიწადში შეადგინა 324 მილიონი მანეთი, რაც 84 მილიონი მანეთით, ანუ 35 პროცენტით მეტია, ვიდრე 1987 წელს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობა 11,7 პროცენტიდან გაიზარდა 13 პროცენტამდე. ზარალიანი მეურნეობების რიცხვი 1987 წლის 79-დან 1988 წელს შემცირდა 72-მდე. მნიშვნელოვანწილად მოგების ზრდა განაპირობა სახელშეკრულებო ფასების გამოყენების პრაქტიკის გაფართოებამ და სახელმწიფოსათვის რეალიზებული პროდუქციისათვის დანამატების გადახდის ზრდამ.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების **მთლიან მოსავალს** ყველა კატეგორიის მეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები (ათასი ტონა):

	1988 წელი	ცნობისათვის: საშუალოდ წელიწადში 1981-1985 წლები	1986-1988 წლები
მარცვლეული	714,2	601,1	672,1
შაქრის ჭარხალი (საფაბრიკო)	51,2	102,1	51,7
მზესუმზირა	16,9	8,0	9,3
კარტოფილი	326,2	392,6	351,2
ბოსტნეული	640,9	589,8	642,0
ხილი და კენკრა	636,5	652,1	671,3
ყურძენი	620,7	786,9	647,8
ციტრუსი	439,4	289,6	308,1
ჩაის ფოთოლი (ხარისხოვანი)	458,2	555,1	537,4

განვლილ წელს რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში არახელსაყრელი ამინდის პირობების შედეგად და სხვა მიზეზებით მარცვლეული კულტურები არ აუღიათ დაახლოებით 11 ათას ჰექტარ ფართობზე.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობამ მთლიანად რესპუბლიკაში შეადგინა 26,2 ცენტნერი 1987 წლის 24,6 ცენტნერთან შედარებით. აღებულია 245,2 ათასი ტონა ხორბალი, 324,1 ათასი ტონა სამარცვლე სიმინდი. სამარცვლე სიმინდის მოსავალი 1988 წელს შემცირდა. საერთოდ მარცვლეული კულტურების მთლიანი მოსავალი წინა წელთან შედარებით შემცირდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აბაშის, ასპინძის, ახალციხის, გორის, ზუგდიდის, სამტრედიის და წალკის რაიონების მეურნეობებში.

მარცვლეულის საგეგმო მოცულობებთან შედარებით 1988 წელს სახელმწიფოს დააკლდა 28 ათასი ტონა.

1988 წელს მთლიანი მოსავალი განსაკუთრებით შემცირდა: კარტოფილისა — ბოგდანოვკის, დმანისის, წალკის რაიონების მეურნეობებში, ბოსტნეულისა — ახმეტის, ბოლნისის, თერჯოლის, თეთრი წყაროს რაიონების მეურნეობებში; ხილისა — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, გორის, ქარელის, ხაშურის რაიონების მეურნეობებში; ყურძნისა — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, ახმეტის, კასპის, მცხეთის, საგარეჯოს, ხაშურის რაიონების მეურნეობებში.

შესრულდა მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის შესყიდვის სახელმწიფო შეკვეთა.

კარტოფილის, ბოსტნეულის, კურკოვანი ხილისა და ციტრუსის საზოგადოებრივ ფონდში მიწოდების გეგმა, თესლოვანი ხილის მიწოდების გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას ყველა კატეგორიის მეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1988 წელი	ცნობისათვის: საშუალოდ წელიწადში 1981-1985 წლები	1986-1988 წლები
ხორცი (ნაკლავის წონა), ათასი ტონა	181,9	153,9	176,2
რძე, ათასი ტონა	742,7	656,0	729,5
კვერცხი, მილიონი ცალი	870,7	746,9	879,2
მატყლი (ფიზიკური წონა), ათასი ტონა	6,1	6,1	6,2

1987 წელთან შედარებით ხორცის წარმოება გაიზარდა 4 პროცენტით; რძისა — 3 პროცენტით; კვერცხის წარმოება შემცირდა 2 პროცენტით.

მნიშვნელოვნად შემცირდა რძის წარმოება ახალციხის, ყვარლის, ონის, სიღნაღის, ხობის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში; კვერცხისა — ვანის, ყვარლის, კასპის, მცხეთის, თეთრი წყაროს, თელავის რაიონების მეურნეობებში.

სასოფლო-სამეურნეო **საწარმოებში** ძროხისა და ფურკამეჩის რძის საშუალო წველადობამ შეადგინა 1926 კილოგრამი, რაც 57 კილოგრამით მეტია, ვიდრე 1987 წელს. მოქცეულის მეკვერცხულობამ შეადგინა 182 კვერცხი წელიწადში და წინა წლის დონეზე დარჩა.

გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების **სახელმწიფო შესყიდვის** მოცულობანი:

	1988 წელი	ცნობისათვის: საშუალოდ წელიწადში 1981-1985 წლები	1986-1988 წლები
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა), ათასი ტონა	188,5	159,0	185,7
რძე, ათასი ტონა	305,4	291,6	301,9
კვერცხი, მილიონი ცალი	610,7	537,4	605,8
მატყლი (წმინდა ბოჭკოზე გადაყვანით), ათასი ტონა	4,1	3,8	3,9

ხორცის რესურსების დიდი დანაკარგები სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დაშვებულია უშუალოდ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაკლული გასაყიდი პირუტყვის მცირე წონითი კონდიციების, მეცხოველეობის კომპლექსებში არსებული საწარმოო სიმძლავრეების არასრული გამოყენების გამო. ერთ სულ მოსახლეზე ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმარებამ 1988 წელს შეადგინა 48 კილოგრამი 1987 წლის 47 კილოგრამთან შედარებით; რძის და რძის პროდუქტებისა, შესაბამისად, 317 და 314 კილოგრამი.

პროდუქტიული პირუტყვის **სულადობა** შეიცვალა შემდეგნაირად (1 იანვრისათვის, ათასი სული):

	ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1988 წელი	1989 წელი	მათ შორის მოსახლეობაში 1988 წელი	1989 წელი
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	1584,4	1531,6	934,3	924,3
მათ შორის ფური	626,1	618,6	449,3	450,8
ღორი	1117,8	1061,3	599,9	590,9
ცხვარი და თხა	1920,5	1886,4	860,6	872,3

რამდენადმე გაიზარდა ძროხის, ცხვრისა და თხის სულადობა მოსახლეობაში, მაგრამ იმ ოჯახების წილი, რომლებსაც არა ჰყავთ პირუტყვი, არ მცირდება. შერჩევითი შემოწმების მონაცემებით, 1988 წლის 1 ოქტომბრისათვის კოლმეურნეთა ოჯახების 24 პროცენტს და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ოჯახების 41 პროცენტს არ ჰყავდა ძროხა, შესაბამისად 26 და 43 პროცენტს — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეული, 54 და 49 პროცენტს — ღორი, 88 და 92 პროცენტს — ცხვარი და თხა, 3 და 15 პროცენტს—ფრინველი.

1989 წლის დამდეგისათვის მეცხოველეობის ფერმებში ჰქონდათ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ერთ პირობით სულზე 6,5—6,5 ცენტნერი საკვები ერთეული, რაც ზოოტექნიკური ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებაზე ნაკლებია.

აგროსამრეწველო კომპლექსს **მიეწოდა** 4357 ცალი ტრაქტორის გუთანი, 1162 ტრაქტორის სათესელა, 501 ყველა მარკის კომბაინი; ამავე დროს კომპლექსს დააკლეს 763 ტრაქტორის გუთანი, 120 დისკოებიანი ფარცხი, 53 წნეხ-ამკრები და 24 დასაწვიმებელი მანქანა და დანადგარი.

მიწოდებულია 313,6 ათასი ტონა მინერალური სასუქები (ყუათიანი ნივთიერებების 100 პროცენტზე გადაანგარიშებით), ანუ წინა წელზე 76,4 ათას ტონაზე მეტი.

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის გამოყენებულია 922 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება, ანუ დაწესებული ლიმიტის 85 პროცენტი. ამ სახსრებიდან 556 მილიონი მანეთი, ანუ 60 პროცენტი, მოხმარდა სოფლის მეურნეობის განვითარებას, 82 მილიონი მანეთი, ანუ 8 პროცენტი — გადამამუშავებელ დარგებს, 21 მილიონი მანეთი, ანუ 2 პროცენტი — დარგებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას უზრუნველყოფენ წარმოების საშუალებით. კაპიტალურმა დაბანდებამ სამელიორაციო მშენებლობისათვის შეადგინა 176 მილიონ მანეთზე მეტი. მაგრამ მიწების მელიორაციაში დაბანდებული სახსრების უკუგება სისტემატურად მცირდება.

საექსპლოატაციოდ გადაეცა 17 ათასი ტონა ერთდროული შენახვისათვის კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის საცავები. დიდი მოთხოვნილების მიუხედავად, უზრუნველყოფილი არ არის მათი ამოქმედება 1,0 ათასი ტონა ერთდროული შენახვის მოცულობით.

საექსპლოატაციოდ გადაეცა სახელმწიფო შეკვეთის ნოშენკლატურის ხორცის საწარმო და მარცვლეულის გადასამუშავებელი 3 ობიექტი. საექსპლოატაციოდ არ არის გადაცემული 99,5 ათასი პირობითი ქილა კონსერვების საწარმოო სიმძლავრეები.

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში ტყე აღდგენილია 29,4 ათას ჰექტარზე, სამრეწველოდ მერქანი გაიჩეხა 44,4 ათას ჰექტარზე. ტყის აღსადგენ სამუშაოთა საერთო მოცულობაში ტყის რგვამ და თესვამ შეადგინა 5,4 ათასი ჰექტარი.

კაპიტალური მშენებლობა

ამოქმედებულია 2276 მილიონი მანეთის **ძირითადი ფონდები**, მათ შორის საწარმოო — 1475 მილიონი მანეთისა.

საწარმოთა ახალი მშენებლობისა და მოქმედ საწარმოთა გაფართოების გზით მარტო ძირითადი სამრეწველო სამინისტროების ხარჯით შეიქმნა 3 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი.

სახელმწიფოო კაპიტალდაბანდებათა ათვისებას და საწარმოთა და ორგანიზაციათა ფონდების სახსრების წილს მათ მოცულობაში სახალხო მეურნეობისა და კომპლექსების ხარჯით 1988 წელს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი, მილიონი მანეთი		სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ლიმიტის გამოყენების პროცენტი		სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ფონდების სახსრებით
	ცენტრალიზებული	საწარმოთა და ორგანიზაციათა ფონდების სახსრები	ცენტრალიზებული	საწარმოთა და ორგანიზაციათა ფონდების სახსრები	
სულ სახალხო მეურნეობაში	1772,3	558,9	90	96	24
მათ შორის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	212,7	36,6	95	91	15
მეტალურგიული კომპლექსი	5,3	61,4	68	89	92
მანქანათსაშენებელი კომპლექსი	31,2	57,7	92	106	65
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი	7,5	87,1	84	82	92
სამშენებლო კომპლექსი	441,7	22,0	84	85	5

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე შესრულდა 1302,3 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ანუ დაწესებული ლიმიტის 91 პროცენტი.

არ გაუმჯობესებულა ვითარება სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების მხრივ. არ შესრულებულა საწარმოო მშენებლობის პროგრამა: სახელმწიფო შეკვეთის 18 ობიექტიდან საექსპლოატაციოდ გადაეცა 15. სამრეწველო რობოტების წარმოების სიმძლავრეები არ აუშავებულა სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაში, ასაწყობი რკინაბეტონის ნაწარმისა — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს გორის რკინა-ბეტონის ნაწარმის ქარხანაში, საქართველოს სსრ გამსახკომის ზესტაფონის სტამბაში.

სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში საექსპლოატაციოდ გადაეცა ვარციხის ჰიდროელექტროსადგურში 46 ათასი კილოვატის სიმძლავრის ტურბინები, 3 ათას კილომეტრამდე სიგრძის საელექტროგადამცემი ხაზები, 523,7 ათასი კილოვატ-ამპერის სიმძლავრის 35 კილოვატი და მეტი ძაბვის ტრანსფორმატორული სადგურები ქვესადგურები.

მეტალურგიულ კომპლექსში ამოქმედდა საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმში“ 25 ათასი ტონა მანგანუმის მადნის მოპოვების ახალი სიმძლავრეები.

მანქანათსაშენებელ კომპლექსში ამოქმედდა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელში“—რამდენიმე მაგისტრალური ელმავლის, თბილისის ქარხანა „ელექტროშემდუღებელში“—1,4 მილიონი მანეთის ელექტროსაშემდუღებლო მოწყობილობის, საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში“ — 10,6 მილიონი მანეთის ავტომობილების სათადარიგო ნაწილებისა და 4 ათასი ტონა ფერადი სხმულის სიმძლავრეები. თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტის საცდელ ქარხანაში — 1,68 მილიონი მანეთის პროდუქციის საწარმოო სიმძლავრე, „საქავტოტრანსპრომსახურების“ სამმართველოში — ტვირთის მოსახურების [illegible] სადგურები.

სამშენებლო კომპლექსში ამოქმედდა სსრ კავშირის [illegible] წიფო სამშენებლო კომიტეტის [illegible] თა კომბინატში, № 1 სახლთსაშენებელ კომბინატსა და № 3 სახლთსაშენებელ კომბინატში, 20 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის ნაწარმის, 91 ათასი კუბური მეტრი პანელების საწარმოო გაერთიანება „კასპცემენტში“ 230 ათასი ტონა ცემენტის საწარმოო სიმძლავრეები.

მსუბუქ მრეწველობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ფოთის სამკერვალო-სატრიკოტაჟო ფაბრიკაში 6 მილიონი ცალი ტრიკოტაჟის საცვლის, თბილისის უქსოვადი მასალების ფაბრიკაში 15 მილიონი კვადრატული მეტრი ქსოვილების ტიპის უქსოვადი მასალების სიმძლავრეები.

ამუშავდა თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის 2 სადგური და 2,3 კილომეტრი ორლიანდაგიანი ხაზი.

ნელა მიმდინარეობს კაპიტალდაბანდებათა დაქსაქსვის დაძლევა. ახალდაწყებული მშენებლობებისა და მშენებარე საწარმოების რაოდენობა და მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება უმნიშვნელოდ შემცირდა. მანქანათსაშენებელი სამინისტროების მიერ. ტექნოლოგიური მოწყობილობის მიწოდება ხშირად არ უკავშირდება სამუშაოთა წარმოების გრაფიკებს, ხორციელდება არაკომპლექტურად.

მშენებლობაში მოქმედი სამეურნეო მექანიზმი ორიენტირებულია ძირითადად მთლიანი ჩაბარებულების მიღწევაზე, და არა ობიექტების ამოქმედებაზე. მთლიანად სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა საიჯარო სამუშაოთა საერთო მოცულობის გეგმა შეასრულეს 94,5 პროცენტით, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მცირეა ასამუშავებელ ობიექტებში — 88,4 პროცენტი. მთელი რიგი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების საგეგმო დავალებანი არ შესრულებულა. მწყობრში არ ჩაყენებულა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, გაზსადენები, ღუმლების გაზსაწმენდი სიმძლავრეები ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმში“ მანგანუმის კონცენტრატის, ქუთაისის რეზინ-ტექნიკური ნაწარმის ქარხანაში რეზინ-ტექნიკური ნაწარმის, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელში“ ელმავლების, მთელ რიგ სახეობათა საშენი მასალების საწარმოო სიმძლავრეები, ავტომატური სატელეფონო სადგურები და სხვ.

მრავალრიცხოვან მშენებლობებზე სახსრების დაქსაქსვისა და ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის ჩაფუშვის შედეგად, გაიზარდა ზენორმატიული დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა. 1988 წლის დამლევისათვის მისმა მოცულობამ სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე შეადგინა 3031 მილიონი მანეთი 1987 წლის დამლევისთვის 2384 მილიონ მანეთთან შედარებით. მარტო ზენორმატიული დაუმთავრებელი მშენებლობის ზრდის ხარჯზე 1988 წელს გაეცემულია 10 მილიონ მანეთზე მეტი ხელფასი.

1988 წლის დეკემბერში რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსის მატერიალური და ადამიანთა რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებული იყო სომხეთის სს რესპუბლიკის სტიქიური უბედურებით დაზარალებულ რაიონებში.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

საერთო სარგებლობის **ტრანსპორტით ტვირთის გაგზავნას** ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1988 წ. მილიონი ნი ტონა	1988 წ. პროცენტობით 1987 წელთან შედარებ ით
ტრანსპორტი — სულ	261,6	99,0
მათ შორის:		
რკინიგზის	54,3	95,2
მილსადენი (ნავთობი და ნავთობპროდუქტები)	0,4	115,3
საზღვაო	9,7	110,0
საავტომობილო	197,2	99,5
საავიაციო, ათასი ტონა	15,0	90,2

ტვირთის გაგზავნის დავალება შეასრულა საავტომობილო (101 პროცენტით) და საზღვაო (111,1 პროცენტით) ტრანსპორტმა.

ტვირთის გაგზავნის გეგმა ვერ უზრუნველყვეს ამიერკავკასიის რკინიგზამ (96,8 პროცენტი) და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ (92,1 პროცენტი). რკინიგზის ტრანსპორტმა ვერ შეასრულა სიიმპორტო ტვირთის (75,9 პროცენტი), ცემენტის (85,5), მინერალური სასუქებისა და სამშენებლო ტვირთის (96,5); ყო

ᲣᲙᲣᲡᲝᲥᲔᲗᲘᲡᲨᲘ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲜᲘᲧᲔᲑᲐ

3 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარე, ყაზარმადგარი გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ტარიელის ძე თავართქილაძე. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოანდომა საოციალისტური სამშობლოს, კომუნისტური პარტიის უანგარო სამსახურს, პარტიისა, რომლის წევრი იყო 1941 წლიდან.

ნ. ტ. თავართქილაძე დაიბადა 1905 წელს ჩობიტაურის რაიონის სოფელ ბიდისთავში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1923 წელს მოხალისედ შეიდა საბჭოთა არმიაში, რომლის რიგებში ეოფნისას გაწყვეტ გზა კურსანტიდან გენერალ-მაიორამდე.

ნ. ტ. თავართქილაძე დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდან დამთავრებამდე უშუალოდ მონაწილეობდა მრძოლებში სამხრეთ-დასავლეთის, დონეცკის, ვორონეჟის, მე-2 ბალტიისპირეთის ფრონტების შემადგენლობაში, ეკავა დივიზიისა და კორპუსის შტაბის განყოფილების უფროსის, შტაბის უფროსის, მეთაურის თანამდებობები. მონაწილეობდა სტალინგრადის ბრძოლაში, კურსკ-ორიოლის მიმართულებით ბრძოლებში, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში. და ყველგან თავი გამოიჩინა, როგორც გულადმა, მამაცმა და უნარიანმა მეთაურმა.

სამამულო ომის რიგებიდან დათხოვნეს შემდეგ 1955 წლიდან, ნ. ტ. თავართქილაძე აქტიურად მონაწილეობდა მშრომელთა, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში, ამასთან დიდ ყურადღებას უთმობდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადების საქმეს. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე იგი იყო საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარე.

ნ. ტ. თავართქილაძე იყო გულისხმიერი და თანამგრძნობი ამხანაგი, რითაც მოიპოვა ყველა იმათი სიყვარული და პატივისცემა, ვინც იცნობდა და უმუშაია მასთან ერთად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ დიდად დააფასეს ნ. ტ. თავართქილაძის დამსახურებანი სამშობლოს წინაშე. იგი დაჯილდოებულია მეორე ხარისხის სუვოროვის ორდენით, სამი წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის ნიკოლოზ ტარიელის ძე თავართქილაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულში.

ჯ. ი. პაპიაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, ბ. გ. გუმბარიძე, გ. დ. მახარაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ი. ნ. როდიონოვი, ნ. ა. ფოფსაძე, ო. ე. ჩერეზია, ჯ. ა. ჩხეიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ნ. რ. საპაია, ვ. მ. სირაძე, პ. პ. ჩხეიძე, ი. კ. პეტროვასი, ა. ნ. ნოვიკოვი, ბ. ი. ფაურუკი, ა. პ. სილანტიევი, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. ბერიძე, მ. ა. ჯაბუა, ნ. უ. ჯაში, დ. ხ. ზამბახიძე, ნ. ი. კალაძე, ლ. ლ. ზარაშვილიძე.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲗᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბ „ამირანში“ კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით სისტემატურად იმართება ხოლმე რესპუბლიკისა და თბილისის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის შეხვედრა ახალგაზრდა ინტერნაციონალისტებთან.

დღეს, 4 თებერვალს 14 საათზე ავღანეთიდან დემობილიზებულ თბილისელ ახალგაზრდებს შეხვდებიან საქართველოს ეკჭრობის, სოციალური უზრუნველყოფის საბინისტროებისა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელი მუშაკები.

● ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘ

ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲐᲓ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲔᲜ

ᲥᲐᲑᲣᲚᲘ. ᲣᲜᲔᲕᲘᲡ შეთანხმებათა სრული შესაბამისობით ავღანეთის ტერიტორიაზე დარჩენილი ყველა საბჭოთა ჯარი ბრუნდება სამშობლოში, განაცხადა ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე ავღანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნაჯიბულამ. ამ დღეებში ყოველი პატრიოტი ავღანელი გამოთქვამს მადლობას და გულთბილად აციილებს ჩვენი მეგობარი საბჭოთა კავშირის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს.

ჩვენი ხალხის მტრები და ავღანეთში მშვიდობის მოწინააღმდეგენი, თქვა შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა, სულ იმას ამტკიცებდნენ, რომ სსრ კავშირმა დაიპყრო ჩვენი ქვეყანა და რომ საბჭოთა ჯარები აქ სამუდამოდ დარჩებიან. როცა ცხადი გახდა, რომ ჯარების გაყვანის თაობაზე საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მთავრობების გადაწყვეტილება საბოლოოა, იმათ, ვინც პოლიტიკურად, და მატერიალურად მოგების ნახულობდა ომის გაგრძელებით, ყოველი ღონე იხმარეს, რათა ჩაეფუშათ საბჭოთა კონტინგენტის სრული გაყვანა, რადგან სურდათ თავიანთ საბაბი იმისათვის, რომ გაემართლებინათ ავღანეთის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში გარედან ჩარევა და ომის გაგრძელება. ახლა უკვე საყვედბით ნათელია, რომ ჩვენმა გადაწყვეტილებამ ჩაფუშა მტრების ყველა პროპაგანდისტული ფანდი და მიზანი.

ნაჯიბულამ აღნიშნა, რომ მხოლოდ სსრ კავშირი და ავღანეთის რესპუბლიკა მისდევდნენ ქვეყნის შეთანხმებათა ფორმასა და შინაარსს, თანამიმდევრულად ახორციელებდნენ მათ. რაც შეეხება პაკისტანს, იგი არა თუ არ ასრულებდა თავის ვალდებულებებს, არამედ როდინობრივად და თვისებრივად აფართოებდა შეიარაღებულ ჩარევასა და აგრესიას ავღანეთის წინააღმდეგ, რითაც გათელა ქვეყნის შეთანხმებათა ბევრი დებულება.

შეეხო რა ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას, პრეზიდენტმა გამოთქვა რწმენა, რომ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია და მისი პოლიტიკური მოკავშირენი, ქვეყნის შეიარაღებული ძალები შეძლებენ თავად დაიცვან ხალხი და სამშობლო, და თუ საჭირო გახდება, საკადრისი პასუხი გასცენ ოპოზიციის ექსტრემისტული ნაწილის გამოხდომებსა და ძირგამომთხრელ აქციებს. მიუხედავად ამისა, თქვა მან, ჩვენ კვლავ ვაცხადებთ, რომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი განვაგრძოთ ეროვნული შერიგების პოლიტიკა.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. აქ დაიწყო ჩინეთში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ციან ციჩენის მოლაპარაკება.

მოლაპარაკება გაიხსნა მინისტრთა პირისპირ შეხვედრით, რომელზეც გაკეთდა საკითხები და შეათანხმეს მუშაობის წესი.

ორივე მხარემ დაადასტურა, რომ მოლაპარაკების მთავარ მიზნად მიიჩნიეთ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის ხელმძღვანელთა შეხვედრის მომზადება, რომელმაც უნდა დაადასტუროს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის სრული ნორმალიზაცია.

განაგრძეს აზრთა გაზიარება იმ წრის პრობლემებზე, რომლებიც ურთიერთგანხილვის საგანი იყო 1988 წლის დეკემბერში სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან მ. ს. გორბაჩოვთან მისი შეხვედრის დროს.

ორმხრივი ურთიერთობის საერთო ნორმალიზაციის კონტექსტით განიხილეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვრის რაიონში სამხედრო დაძაბულობის შენელების საკითხები. მიაღწიეს პრინციპულ მორიგებას იმის შესახებ, რომ შეიქმნას მოლაპარაკების მექანიზმი— დიპლომატიური და სამხედრო ექსპერტების ჯგუფი, რომელიც ხელს მოჰკიდებს როგორც საერთო პრინციპების დამუშავებას, ისე შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას, მათ შორის სამხედრო დარგში ნდობის ღონისძიებათა შემუშავებას.

აღინიშნა იმის დიდი მნიშვნელობა, რომ მიაღწიონ შემდგომ პროგრესს მოლაპარაკებაზე, რომელიც გაიმართება საზღვრის მოწესრიგების შესახებ, იქნება ეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვრის აღმოსავლეთი თუ დასავლეთი ნაწილი.

მინისტრებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს კამპუჩიის საკითხის მოწესრიგების მიმდინარეობის განხილვას, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ბოლო დროს მიმდინარე პროცესებს, რომლებიც წამყვანი ტენდენცია ხდება კონფრონტაციიდან დიალოგისაკენ, დაძაბულობიდან თანამშრომლობისაკენ, შემობრუნება. გამოითქვა მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა გზით შეუძლიათ სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მაქსიმალურად შეუწყონ ხელი არსებული რეგიონალური კონფლიქტის ლიკვიდაციას.

მოლაპარაკება, რომელიც მეგობრულ და გულახდილ ატმოსფეროში მიმდინარეობს, გაგრძელდება.

სადილზე, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამართა საბჭოთა სტუმრის პატივსაცემად, ციან ციჩენმა და ე. ა. შევარდნაძემ სიტყვები წარმოთქვეს.

* * *

ე. ა. შევარდნაძე გაეგზავრა ჩინეთის დიდი კედლის დასათვალიერებლად. მას ახლდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ტიან ძენპი.

* * *

ამავე დღეს ე. ა. შევარდნაძე შეხვდა სსრ კავშირის პეკინის საელჩოსა და სხვა საბჭოთა დაწესებულებების კოლექტივს. მან ილაპარაკა სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნის ახლანდელ ეტაპზე, შეეხო საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის აქტუალურ პრობლემებს. მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებს.

ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთში საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლების წინაშე დასახულ ამოცანებს. მან მოუწოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მომუშავე ყველა საბჭოთა ადამიანს განავითარონ და განამტკიცონ მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობა, რომელიც აკავშირებს ორი მეზობელი სოციალისტური სახელმწიფოს ხალხებს.

● ᲞᲐᲠᲐᲒᲕᲐᲘ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲜᲐᲠᲘ

ᲡᲐᲜᲘᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗᲘ ᲞᲐᲠᲐᲒᲕᲐᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲐᲮᲣᲚᲘᲝᲜᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲰᲓᲐ ᲮᲐᲛᲑᲘᲡᲔᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲝᲮᲘᲡᲐ ᲓᲘᲙᲢᲐᲢᲝᲠ ᲢᲐᲠᲘᲡᲬᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲝᲗᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 35 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲕᲘᲧᲝᲤᲜᲐᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ.

საინფორმაციო საგენტოების ცნობით, დალამებისთანავე, დედაქალაქის ქუჩებში გამოჩნდა ტანკები. ქვეითი ჯარების პირველი კორპუსის განლაგების ზონაში დაწყებულმა სროლამ დედაქალაქის ცენტრში გადაინაცვლა, სადაც პრეზიდენტის სასახლე მდებარეობს. მეამბოხეებმა ცეცხლი დაუშინეს პრეზიდენტის სასახლის დამცველ პოლიციელთა კორპუსს.

ამავე დროს პარაგვაის რადიოთი და ტელევიზიით გადაიცა აჯანყების ხელმძღვანელის, პირველი კორპუსის სარდლის დივიზიის გენერლის ადრეს როდრიგესის მმართველი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. თეთრ სახლში დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისა და იაპონიის პრემიერ-მინისტრის ნობორუ ტაკეშიტას მოლაპარაკება, რომელიც რვადღიანი ვიზიტით იმყოფება შეერთებულ შტატებში. იაპონიის მთავრობის მეთაური პირველი საზღვარგარეთელი ლიდერია, რომელიც ხვდება ბუშს მას შემდეგ, რაც მან ოფიციალურად დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტი. თეთრ სახლში გამართული საუბარი არის მოლაპარაკებათა აერის თავისებური პრელუდია, რომლებსაც ნ. ტაკესიტა ვაშინგტონში გამართავს ამერიკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებთან. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო იუწყება, ამ შეხვედრებმა უნდა „ცხადყონ ორმხრივი ურთიერთობის სიმთო“.

ᲙᲣᲛᲐᲜᲣᲠᲘ ᲐᲥᲪᲘᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. როგორც ხუთშაბათს განაცხადა თეთრი სახლის პრეს-მდივანმა მარლინ ფიცუოტერმა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა ამერიკის სამხედრო ჰოსპიტლებში სამკურნალოდ გაგზავნოს ხუთი სომეხი ბავშვი, რომლებიც დაშავდნენ სტიქიური უბედურების შედეგად. ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოველი ელჩის თხოვნით, თქვა თეთრი სახლის წარმომადგენელმა, სომეხ ბავშვებს ჩაიყვანენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც მოათავსებენ ამერიკულ სამხედრო ჰოსპიტალში.

„ამ ბავშვების მდგომარეობა კრიზისულია და საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს“, — განაცხადა მ. ფიცუოტერმა. როგორც მან, თქვა, მომავალ კვირას ამერიკულ ჰოსპიტლებში სამკურნალოდ აპირებენ კიდევ 31 ბავშვის ჩაყვანას, რომლებიც დაშავდნენ სომხეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად.

● ᲐᲨᲣ

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. თეთრ სახლში დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისა და იაპონიის პრემიერ-მინისტრის ნობორუ ტაკეშიტას მოლაპარაკება, რომელიც რვადღიანი ვიზიტით იმყოფება შეერთებულ შტატებში. იაპონიის მთავრობის მეთაური პირველი საზღვარგარეთელი ლიდერია, რომელიც ხვდება ბუშს მას შემდეგ, რაც მან ოფიციალურად დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტი. თეთრ სახლში გამართული საუბარი არის მოლაპარაკებათა აერის თავისებური პრელუდია, რომლებსაც ნ. ტაკესიტა ვაშინგტონში გამართავს ამერიკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებთან. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო იუწყება, ამ შეხვედრებმა უნდა „ცხადყონ ორმხრივი ურთიერთობის სიმთო“.

ᲨᲝᲤᲠᲝᲛᲐᲪᲘᲐ



● **ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ ხელისუფლები ამკაცრებენ რეპრესიულ ღონისძიებებს პალესტინელი ხალხის მიმართ. მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირისა და ღაზის სექტორის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. დამპყრობლები უიარაღო ადამიანების წინააღმდეგ იყენებენ ახალი სახეობის ტყვიებს — ლითონის ბურთულებს, რომლებიც დაფარულია პლასტიკის ან მაგარი რეზინის თხელი ფენით (სურათზე). ასეთი ტყვიის დაშენის შედეგად სახალხო აჯანყების დაწყების დღიდან 600-ზე მეტი კაცი დაიღუპა, იუწყება ვაფას სააგენტო.**

ᲐᲠ-ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ

6 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩოგანბურთი“. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.30 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 17.00 — დავით აღმაშენებელი-900. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პალესტინა, პალესტინა“. 18.00 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია — დავით აღმაშენებელი. 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.40 — „მეგობრობის მერიდიანზე“. 19.20 — განცხადებები. 19.25 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.00 — მოამბე. 20.35 — დავით აღმაშენებელი-900. „დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „არჩევნების შესახვედრად“. 22.50 — სატელევიზიო ფესტივალი „სიცილი ეკრანზე“. ქართული მხატვრული ფილმი „დაკარგული სამოთხე“.

მეორე პროგრამა. 17.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ცემენტი“. I და II სერია. 19.25 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დვორეაკის მელოდიები“. 20.00 — მოამბე. 20.35— მხატვრული ფილმი „ყველაზე სათნო და მომხიბლავი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „არჩევნების შესახვედრად.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ

7 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კომენტატორი“. 16.10 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.20 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.50 — „ათლეტიზმი“. 17.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.45—„დიალოგი პოლიტიკურ თემაზე“ (განმეორებით). 18.20 — მოსწავლეთათვის. „ორი ეკა, ორი გიორგი და ლექსები“. 18.40 — ხალხური შემოქმედება. „ქვის სიმღერა“. 19.00 — დავით აღმაშენებელი-900. „ცხოვრებაი მეფეთა მეფისა დავითისა“. 19.40 — განცხადებები. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — დავით აღმაშენებელი-900. „საუნჯე“ (გელათი). 21.00 — უკრავს საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი. 21.45 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.00 — „ვრემია“. 22.40— გარდაქმნის პროგრამა“. 22.50 — ქართული მხატვრული ფილმი „მთვარის მოტაცება“. I სერია.

მეორე პროგრამა. 17.05 — ქართული მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“. 18.35 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 19.05 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — „მხატვრული ფილმი „უგრიუმ-მდინარე“ I სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40— „გარდაქმნის პროგეექტორი.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

8 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სტენდი“. 16.10 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე); 16.20 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 16.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.20 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.50 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 18.00—დავით აღმაშენებელი-900. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პეტრიწონი“. 19.00 — „უკრავს ე. გოროვეიი“ (დაბადების 85 წლისთავის გამო). 20.00 — მოამბე. 20.35— არჩევნების შესახვედრად. „განახლების გზით“. 21.05 — დავით აღმაშენებელი-900. „საუბრები არქეოლოგიაზე“: 21.35 —. კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „არჩევნების შესახვედრად“. 22.50 — ქართული მხატვრული ფილმი „მთვარის მოტაცება“. II სერია.

მეორე პროგრამა. 17.05 — სატელევიზიო დადგმა „დაგვიანებული ყვავილები“. 18.40 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 19.10 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „უგრიუმ-მდინარე“. II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „არჩევნების შესახვედრად.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

9 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 14.20 — „ათლეტიზმი“. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვის ესიზმრება ცხენები ღამით“? 16.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.30 —მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 17.00 — მოსწავლეთათვის. საცირკო სანახაობა (განმეორებით). 18.20 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 18.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „გარდაქმნა“ (პირველი ჩვენება). 19.00 — გარდაქმნის ნახნაგები. „მეგობრების გამოცდილება“ (ლვოვის ტელევიზიის პროგრამა). 19.40 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები. „სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციით უზრუნველყოფა — წინსვლის ფაქტორი“. 20.50 — ხალხური შემოქმედება — „ფოლკლორის სადღესასწაულო პრობლემები“. 21.55 — წერილის დღე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროგეექტორი“. 22.50 — „შემოქმედებითი პორტრეტები“. ალ. მაჭავარიანი (დაბადების 75 წლისთავის გამო).

მეორე პროგრამა. 17.15 — ქართული მხატვრული ფილმი „ბაგრატიონი“. 19.10 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მულტიპლიკაციური ფილმი. 20.55 — მხატვრული ფილმი „უგრიუმ-მდინარე“. III სერია 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროგეექტორი“.

ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ

10 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 13.05—„ნაშუადღევს“. 13.50— ფიზიკის ტელეკურსი. 15.55—მოკლემეტრაჟიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გასეირნება“. 16.15 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.25 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „იორამი“ და „ჭიდაობას რა უნდა“. 17.35— მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია. 18.05 — გარდაქმნის ნახნაგები — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მრავალცვლიანი“ (პირველი ჩვენება). 18.25 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი“. 19.05— ჩვენი სტუმრები. 19.30 — „ქართული კინო. პრობლემები, ძიებები“. 20.00— მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები. „იჯარის სიკეთე“ (ზუგდიდის რაიონის სოფელი ჭკადუაში). 20.55 — „დეპუტატობის კანდიდატები“. ქართული დოკუმენტური ფილმი „პროფესია რეჟისორი“. 21.55 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40— „არჩევნების შესახვედრად“. 22.50 — სატელევიზიო ფესტივალი „სიცილი ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „დავინყებული მელოდია ფლეიტისათვის“.

მეორე პროგრამა. 17.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პაკეტი“. 18.20 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.20 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კატაევის იუმორესკები“. 20.00 — მოამბე. 20.35 — მულტფილმი. 20.45 — მხატვრული ფილმი „უგრიუმ-მდინარე“. IV სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — არჩევნების შესახვედრად“.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

11 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“ (მ.). 9.40 — მოკლემეტრაჟიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გია და ზურა“. 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — ხალხური შემოქმედება. „მღერის ანსამბლი „მერცხალი“. 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.30 — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი“ — მურად მთვარელიძე. (განმეორებით). 11.55 — ამბავი ნამდვილი ადამიანებისა. მხატვრული ფილმი „გველებზე მონადირე“. 13.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.45 — „ათლეტიზმი“. 14.10 — „თეატრალური პანორამა“ (განმეორებით). 15.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.25 — საინფორმაციო გამოშვება. 15.35 — „ლიტერატურული ნარსულის ერთი ფურცელი“. 16.05 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.10 — „გლობუსი“. 17.00— „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.50 — ხელოვნების ლექტორიუმი. ლეონარდო და ვინჩი (გადაცემა მეორე). 18.20 — კამერული მუსიკის კონცერტი. 18.45 — შეხვედრა მსახიობთან. გ. საღარაძე (დაბადების 60 წლისთავის გამო). 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — შეხვედრა მსახიობთან — გ. საღარაძე (გაგრძელება). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ილუზიონი“.

მეორე პროგრამა. 18.05 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ტადას ბლინდა“. I სერია. 19.20 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ტადას ბლინდა“. II სერია. 21.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლატვიური ვიტრაჟები“. 22.00 — „ვრემია“.

ᲙᲕᲘᲠᲐ

12 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 10.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გამჭოლი მოქმედება“. 11.00 — გარდაქმნის ნახნაგები. „სამეურნეო მექანიზმი. სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — კინოაფიშა.. 12.00 — მოსწავლეთათვის. „თეატრი და ბავშვები“. 13.00 — საკვირაო გამოფენა. ი. გამრეკელი. 13.05 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.35 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 14.05 — საკვირაო გამოფენა. 14.10 — შეხვედრა კომპოზიტორთან. მარიკა კვალიაშვილი (განმეორებით). 15.25 — ვესტნიკი. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 16.25 — საკვირაო გამოფენა. 16.30 — ფეხბურთის მოყვარულთათვის. „ევროპა-88“ (სსრ კავშირისა და იტალიის ნაკრები გუნდების შეხვედრა). 18.20 — ლიტერატურული გადაცემა „ჭეშმარიტი ყოფნა“ (მ. ბერძენიშვილის ჩანაწერები). 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — სტუდია „დიალოგი“ (ჯანმრთელი რომ ვიყოთ). 21.35 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გამარჯობათ, ექიმო!“. 22.55 — სატელევიზიო ფესტივალი „სიცილი ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „საერთო საცხოვრებელი მარტოხელებისათვის“.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 · ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რეპტიციაზე“. 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — ხალხური შემოქმედება — მღერის „ჩინარი“. 10.50 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.20 — ქართული კინოს ისტორიიდან. მხატვრული ფილმი „კომშენარის